სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი სამშაბათი 26 დეკემბერი 2006 №299 (2921) ფასი 50 თეთრი

არჩევანი შენ

ფედერაციამ ტოპმიოლერს გუნდები ჩამოუწერა

ბადრი კვირკელიას ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა კალაძის ახალი ჯილდო: ოქროს ფრთა

ბენდელას თასი ჯგუფიდან გავიდა

ლეგიონერებით გავსებულ სპორტის სასახლეში დღეს პლეი ოფი იწყება

გოგიტა გოგუა (მარცხნივ) გუშინაც გოლით გამოირჩა

ბადრი კვირკელიას ფოტო



ბადრი კვირკელიას ფოტო

ეს ის ასანიძე არ არის!

შეგირდმა მასწავლებელს ოლიმპიადა გაუხუნა

„სადღეისოდ გიორგი ასანიძე აშკარად უკეთესად გამოიყურება, ვიდრე 2004 წლის იანვარში, ათენის ოლიმპიადის მოსამზადებელი ციკლის სანყის ეტაპზე“ — საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი კმაყოფილებას ვერ მალავს თავისი ოლიმპიური ჩემპიონი შეგირდის მომზადების დონით პოლონური შეკრების შემდეგ. არადა, ასანიძე მთელი ორი წელი ჩამოშორებული იყო აქტიურ სპორტს და გრიქუროვმა ნათქვამს ისიც დაამატა, როგორც ჩანს, დასვენებამ გიორგიზე დადებითად იმოქმედაო.

საქართველო — ბრაზილია: მოლაპარაკება ისევ გზაშია

ბადრი ქეთელაძის ფოტო

უჩა უგულავა: ამხანაგურები იანვარში უნდა მოიხაზოს

რა სტადიაშია საქართველო — ბრაზილიის ამხანაგურ მატჩზე მოლაპარაკება? გეცოდინებათ, მთავარი პრობლემა თანხაა — ბრაზილიელთა ჩამოყვანა იაფი როდი ჯდება, ამიტომაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მატჩის ტრანსლაციის მსურველი ტელეკომპანიისგან ელის ზუსტ პასუხს. ისიც ითქვა, შესაძლოა, ფედერაციის ხელმძღვანელებს ბრაზილიაში დასჭირდეთ ჩასვლაო.

ბრაზილიის ვარიანტზე და სხვა ამბების გასაგებად, ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დავუკავშირდით...

— სიახლე ჯერ არაფერია. ამ კვირაში ტელეტრანსლაციიდან შემოსასვლელი თანხის ოდენობა უნდა გავიგოთ, მაგრამ ევროპაში შობის დღესასწაულია და ეს საკითხი ცოტა ხნით მოიცდის. თუმცა, შესაძლოა, დღე-დღეზე გაირკვეს რაიმე.

— ამასწინათ გვითხარით, გაისად 17 ნოემბერს შეიძლება ავსტრიის ნაკრებს ვეთამაშოთ სტუმრადო...

— ეს კლაუს ტოპმიოლერზეა დამოკიდებული. ავსტრიის ვარიანტი მართლა კარგია, მაგრამ მთავარი მწვრთნელი თბილისში ჩამოვა და ეს საკითხიც მერე გადაწყდება.

— და როდის ჩამოვა ტოპმიოლერი?

— იანვარში ველოდებით. დავსხდებით და ერთად შევადგენთ 2007 წლის გეგმას, მათ შორის, ამხანაგური მატჩების განრიგსაც.

— აზიურ ნაკრებსაც შემოუთავაზებიათ თამაში. კონკრეტულად რომელმა ნაკრებებმა გამოთქვეს სურვილი?

— სამხრეთ კორეა, საუდის არაბეთი, ქუვეითი... რამდენიმე წინადადება მივიღეთ და სად და ვისთან ავჯობებს თამაში, ამას ისევ მწვრთნელებთან ერთად მოვითათბირებთ.

ილია ნანოგაშვილი

ბადრი ქეთელაძის ფოტო

რატომ ლაპარაკობდა ბარაბაძე უკრაინაში ინგლისურად...

კანკავა ყველაზე მეტად მე გამიხარდა

„ბენდელას თასი“ თანდათან ივსება უცხოეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებით. ტურნირის მესამე დღეს ლეგიონერთაგან ყველაზე გამორჩეული ფიგურა დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ მოთამაშე 18 წლის რევაზ ბარაბაძე აღმოჩნდა. „ნორჩი დინამოელის“ შემადგენლობაში მოთამაშე ბარაბაძემ გუშინ ექვსი გოლი გაიტანა. ჩვენც თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ მას...

— როგორ შეეწყვე „დნიპროს“?

— ნორმალურად. თავიდან ცოტა გამიჭირდა, რუსული ენის პრობლემა მქონდა და მწვრთნელთან საუბარი ინგლისურ ენაზე მიხდებოდა. შემდეგ ნელ-ნელა რუსულიც ავითვისე და უკვე თანაგუნდელებთანაც ვსაუბრობ.

— გუნდში კონკურენცია დიდია? ძირითადში თამაში ხომ იშვიათად გიწევდა...

— „დნიპრო“ უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდად ითვლება. ხუთი-ექვსი ფეხბურთელი იმ ნაკრების წევრია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში ითამაშა. ძირითად გუნდში იშვიათად ვთამაშობდი, მაგრამ მათთან ერთად ვვარჯიშობ. ოლეგ პროტასოვი გულისხმიერი ადამიანია და ყურადღებით მექცევა. მეტი მონდომებით და ყურადღებით ვარჯიშს ითხოვს. ჩემზე პრესაშიც ძალიან თბილად საუბრობს.

— სამი თვეა, უკრაინაში ხარ. რა განსხვავებაა იქაურ და აქაურ ჩემპიონატებს შორის?

— იქ ძალიან მაღალი დონეა. გუნდები სერიოზულ დაფინანსებას იღებენ და შედეგიც სახეზეა — ორი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს.

— უკრაინელთა სათამაშო სტილზე რას იტყვი?

— მცველები გაცილებით ხისტად თამაშობენ, თითქმის უხეშობის ზღვარზე. თავიდან ამასთან შეგუება გამიჭირდა და ისევ პროტასოვი დამეხმარა — ფსიქოლოგიურად შემამზადა.

— ქალაქთანაც გაგიჭირდა შეგუება?

— ამ მხრივ პრობლემა არ ყოფილა, დნეპროპეტროვსკი თბილისზელა ქალაქია და თითქოს ჰგავს კიდეც. ხანდახან თავს გართობის უფლებასაც ვაძლევ, გასართობი კი ბევრია. ეგაა, მარტო მე ვარ ქართველი...

— მალე მარტო აღარ იქნები, ჯაბა კანკავაც ხომ „დნიპროშია“...

— ეს ძალიან გამიხარდა. კარგია, რომ მარტო არ ვიქნები და თან კარგი და საიმედო ადამიანი მეყოლება გვერდით.

— კანკავას გადმოსვლამდე რას ამბობდნენ მასზე?

— გუნდში ყველამ იცოდა, რომ ჯაბა ჩვენთან გადმოვიდოდა და აქებდნენ კიდეც. ან მათი შექება რად უნდოდა, უკრაინული პრესა კანკავაზე საუბრის მეტს არაფერს აკეთებდა — სეზონის აღმოჩენა, საუკეთესო დებიუტანტი, ლეგიონერი... რა ვიცი რას არ წერდნენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბენდელას თასი

A ჯგუფი

III ტური

ომც 6:1 აკადემია

ლაშა ჩხაიძე (2), ლევან ჩხაიძე (2), რუხაძე (2); სულაქველიძე

გაგრა 2:1 დინამო 2

მუშკუდიანი, მეტრეველი; მინდორაშვილი

გაგრა	3	3	0	0	9:5	9
ომც	3	1	1	1	9:5	4
დინამო 2	3	1	1	1	4:3	4
აკადემია	3	0	0	3	3:12	0

B ჯგუფი

ლუკა 3:1 აფხაზეთი

დვალიშვილი (2), შ. ჯიქია; სანიკიძე

ნ. დინამოელი 7:3 ირაო

ბარაბაძე (6), ვაჩეიშვილი; ფიფია (3)

აფხაზეთი	3	2	0	1	6:4	6
ნ. დინამოელი	3	2	0	1	11:6	6
ლუკა	3	1	1	1	7:7	4
ირაო	3	0	1	2	6:13	1

C ჯგუფი

სეუ 6:5 მესხეთი

მახარაძე (3), გრიგალაშვილი (2), არჩვაძე; სეფერთელაძე, შატაკიშვილი, ინასარიძე, გამცემლიძე, სულაძე

საბურთალო 4:2 რუბიკონი

გოგუა, მურცხვალაძე, გუნია, კაკაშვილი; ნემსაძე, დოლიძე

საბურთალო	3	2	0	1	15:10	6
რუბიკონი	3	1	1	1	10:10	4
სეუ	3	1	1	1	13:16	4
მესხეთი	3	1	0	2	12:14	3

მეოთხედფინალი. დღეს

16:00 ნ. დინამოელი — რუბიკონი

17:00 გაგრა — ლუკა

18:00 საბურთალო — ომც

19:00 აფხაზეთი — დინამო 2

ბავშვთა ტურნირი

A ჯგუფი

III ტური

35-ე სკოლა 2 2:1 ოლიმპი

ნორჩი სიონი 3:2 ბათუმი

35-ე სკოლა-2	3	2	1	0	4:2	7
ნორჩი სიონი	3	1	1	1	3:4	4
ბათუმი	3	1	0	2	6:7	3
ოლიმპი	3	1	0	2	5:5	3

B ჯგუფი

OFFS 2:3 თერჯოლა

საბურთალო 4:1 იმედი

საბურთალო	3	3	0	0	17:8	9
თერჯოლა	3	2	0	1	9:8	6
იმედი	3	1	0	2	8:10	3
OFFS	3	0	0	3	9:17	0

C ჯგუფი

35-ე სკოლა-1 4:1 გურია

ლოკომოტივი 6:0 წყალტუბო

35-ე სკოლა-1	3	3	0	0	8:1	9
ლოკომოტივი	3	2	0	1	7:1	6
გურია	3	1	0	2	7:6	3
წყალტუბო	3	0	0	3	1:15	0

მეოთხედფინალი

ნორჩი სიონი — თერჯოლა

35-ე სკოლა-2 — გურია

35-ე სკოლა-1 — ბათუმი

საბურთალო — ლოკომოტივი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 38 11 14,
877 54 55 00;
Fax: 94 33 80

ლოგიკა ქმნის პრეცედენტს და პრეცედენტი ლოგიკას

როგორ უნდა გახდეს ამერი ამ ერის გუნდი

ფეხბურთის კლუბი „ამერი“ 2002 წელს შეიქმნა და უკვე არცთუ პატარა წარმატებებს მიაღწია. წლეულს გუნდმა საქართველოს თასიც მოიგო და სუპერთასიც, „ამერის“ ბევრი ფეხბურთელი თამაშობს საქართველოს 19 და 21-წლამდელთა გუნდებში, რამდენიმე ამერელს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია...

„ამერს“ აქვს ის ატრიბუტიკა, რაც აუცილებელია მზარდი კლუბისთვის, თუმც „ამერისთვის“ მხოლოდ ეს ვერ ჩაითვლება წარმატებად — მშენებარე ბაზა ქალაქგარეთ, ასაკობრივი გუნდები, მეორე გუნდი პირველ ლიგაში, საკუთარი ავტობუსი, ფან-კლუბი, იარბუქები, ვებგვერდი...

მაშ, რა სურს „ამერს“? რას უმიზნებს კლუბი და როგორ აპირებს ამის გაკეთებას? კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას საერთო ჯამში ამაზე ვესაუბრეთ...



ზურაბ ფოცხვერია

ზურაბ ფოცხვერია კიდევ სამ წელიწადს მოიცდის

— უკვე ოთხი წელია, საქართველოში საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი ხართ — ასეთი საქმიანობით გაწბილებული ხომ არ ხართ?

— ვიცოდი, რა საქმესაც ვკიდებდი ხელს და მზად ვიყავი იმისთვის, რასაც შეეძლო გაწბილების გამოწვევა. მოკლედ, გაწბილებული არ ვარ, თუმც იმ ხელისშემშლელი ფაქტორებით, რაც ზოგადად ქართულ ფეხბურთში ხდება, შეწუხებული ვარ. უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი კვალიფიკაციის დეფიციტია — პრეზიდენტი, მწვრთნელი, ფეხბურთელი, მსაჯი, სამედიცინო პერსონალი — თავისი საქმის მცოდნე ხალხი ფეხბურთში ცოტაა იმისთვის, რომ საკლუბო ფეხბურთის საშუალო დონე მაღალი იყოს. ახლა უმაღლეს ლიგაში ხუთი-ექვსი ისეთი გუნდია, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთმანეთს მძაფრ კონკურენციას რომ უწევენ, მაგრამ ამ ნაღებ და დანარჩენ გუნდებს შორის დიდი კონტრასტია, რის გამოც ჩემპიონატის მოწინავე გუნდები სეზონში ათ დაძაბულ და პრინციპულ მატჩს თუ თამაშობენ. ამიტომაცაა, რომ საშუალო საკლუბო დონე მაღალი არ არის.

— რადგან ამ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, თქვენი საბოლოო მიზანი ალბათ „ამერის“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა — სავარაუდოდ, რა პერიოდში გახდება „ამერი“ იმ დონის გუნდი, ასეთი მიზნისთვის ბრძოლას რომ შეძლებს?

— თავიდან ექვსწლიანი პროგრამა გვქონდა, რომელიც 2007 წლის ზაფხულში მთავრდება. ამის შემდეგ კი სამწლიანი გეგმის განხორციელებას ვაპირებთ, რითაც „ამერი“ ევროსარბიელზე კონკურენტუნარიანი გუნდი უნდა გახდეს, მაგრამ თუ შევატყობთ, რომ ჩვენი საქმიანობა ერთი ადგილის ტკეპნაა და კლუბის ინვესტირება ქველმოქმედების სახეს მიიღებს, შესაძლოა, ჩვენს სტრატეგიაზე უარი ვთქვათ. ერთი სიტყვით, დღეს არსებულ პირობებში საქართველოში ევროპის მასშტაბით კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნა თითქმის შეუძლებელია. თუნდაც ის ავიღოთ, რომ თუ რომელიმე უცხოური კლუბი „ამერის“ ფეხბურთელს ბევრად უკეთეს პირობებს შესთავაზებს, ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელს ვერაფრით დავაკავებთ. საქართველოდან კვალიფიციური ფეხბურთელების გადინება უნდა დარეგულირდეს.

— საქართველოში არის გუნდი, რომელსაც „ამერზე“ ბევრად უფრო მდიდარი პატრონი და დამფინანსებელი ჰყავს, თუმც ამ კლუბის პოლიტიკა ისეთნაირად შეიცვალა, რომ დაფინანსება შეუმცირდა — რადგან ასეთი პრეცედენტი არსებობს, ალბათ სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ფეხბურთი ინვესტირებისთვის საინტერესო გახდეს. თუმც ხელისუფლებისგან ისმის, რომ საფეხბურთო კლუბებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება გამოიწვევს კორუფციის რისკის ზრდას...

— ზედმეტი ფული არავის აქვს და როცა ინვესტორი ხვდება, რომ მის მიერ გაღებული თანხა ფულის ფლანგვაა, სერიოზულად დაფიქრდება, გააგრძელოს თუ არა კლუბის დაფინანსება. სახელმწიფოს კი შეუძლია, მიიღოს სპორტის ისეთი კანონი, რომელიც ყველაფერს დაარეგულირებს. ერთია უარის თქმა საგადასახადო შეღავათების დაწესებაზე და მეორე — ლოგიკა. მაგალითად, საფეხბურთო გუნდს სეზონში სჭირდება 70-80 ბუცი და 80-100 ბურთი. არც ბუცი და არც ბურთი საქართველოში არ იწარმოება და იძულებულნი ვართ, ისინი უცხოეთიდან შემოვიტანოთ. როცა ეს ინვენტარი შემოგვაქვს, ფაქტობრივად, ისევე იბეგრება, როგორც კომერციული საქონელი. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს შეუძლია, გამონაკლისი დაუშვას, სახელმწიფოს შესაძლებლობები კლუბისაზე გაცილებით დიდია, სახელმწიფოს ისიც შეუძლია, რომ კლუბებს გრძელვადიანი და უპროცენტო სესხის გამოტანის ნება დართოს, ან კიდევ სხვა შეღავათები დააწესოს.

— სახელმწიფოს როლი ერთია, მაგრამ იმაზეც ვთქვათ, რომ კონკურენტუნარიან გარემოს ვერ შექმნიან უმაღლესი ლიგის ის გუნდები, ელემენტარული მატერიალურ-ფინანსური ბაზა რომ არ გააჩნიათ, მაგრამ მაინც უმაღლეს ლიგაში არიან — როგორც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი, ამაზე რას გვეტყოდით?

— ეს მართებული შენიშვნაა. აღმასკომის წევრობის გარდა პროფესიული ლიგის გამგეობის წევრიც ვარ და გარწმუნებთ, რომ ამ საკითხზე მსჯელობა პროფლიგაში სულ მიდის და მეტიც, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნებაა — შესაძლოა, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის უმაღლეს ლიგას ელემენტარული პირობების არქონის გამო არაერთი გუნდი ჩამოსცილდეს. ამ საკითს პროფლიგა მკაცრად და პრინციპულად უდგება და იმედი მაქვს, რომ ასეთი პოზიცია არ შეიცვლება. ისიც ფაქტია, რომ პროფლიგამ ქართულ ფეხბურთში კომერციალიზაციის ელემენტები შემოიტანა. ეროვნულ ჩემპიონატს და თასის გათამაშების ჰყავს სპონსორები; შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ სუპერთასის მოგებისთვის საპრიზო თანხა დაწესდა. ეს თანხა შესაძლოა, სიმბოლური იყო, მაგრამ რადგან პრეცედენტი უკვე მოხდა, გაიზარდა და იმის შანსი, რომ საპრიზო თანხა მალე რეალურად მიმზიდველი გახდება. პრემიალური თანხა გამოყოფილია საქართველოს თასის ნახევარფინალისტებსა და ფინალისტებზეც — ამ ყველაფრით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება.

— ყველა საფეხბურთო კლუბს, რომელსაც სოლიდურობის ამბიცია გაჩნია და დიდ მიზნებს ისახავს, საკუთარი ფილოსოფია აქვს — რა ფილოსოფიას ირჩევს „ამერი“?

— როცა „ამერი“ იქმნებოდა, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ვახტანგ ბზიკაძემ აღნიშნა, „ამერი“ ამ ერის გუნდი უნდა იყოსო. გვსურს, „ამერმა“ ჩვენს ქვეყანას დადებითი მუხტი შემატოს. რაც შეეხება გუნდის იდეოლოგიას, მიგვაჩნია, რომ მწვრთნელთა ხშირი ცვლა ხეირის მომტანი არ არის და გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე აბსოლუტური ნდობით სარგებლობს. ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ ეს კლუბის საქმეში უმთავრესი არ არის. მთავარია, მწვრთნელს ჰქონდეს დრო, თავისი სათამაშო ფილოსოფია სრულად წარმოადგინოს გუნდში. უმაღლეს ლიგაში ჯერ მხოლოდ სამი წრე ვითამაშეთ და ვფიქრობ, ბოლო წრეში „ამერმა“ ადრინდელზე სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენა. მთავარი შედეგია, მაგრამ გუნდმა მაყურებელს შედეგის გარდა, თვალისმომჭრელი თამაშითაც რომ უნდა მოაწონოს თავი, ჩვენთვის ეს მეასეხარისხოვანი სულაც არ არის.

— ხაქართველოს ყველა კუთხიდან ნიჭიერი ჭაბუკების თავმოყრა და მერე მათი ექსპორტი — ასეთი პოლიტიკა თუ ჯდება „ამერის“ ფილოსოფიაში?

— რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო ფეხბურთელების ექსპორტიორი ქვეყანაა. ჩვენ გვაქვს საფეხბურთო სკოლა და ვაპირებთ, ფილიალების გახსნას თბილისშიც და თუ ეს მოხერხდება, სხვა რეგიონებშიც. „ამერის“ 1990 წელს დაბადებულთა გუნდი სწორედ თქვენ მიერ ზემოთ-ხსენებული პრინციპითაა დაკომპლექტებული. მოკლედ, გარკვეული შედეგები ამ მხრივ უკვე გვაქვს, თუმც მეტი გვინდა. და კიდევ, მიზანმიმართული სატრანსფერო პოლიტიკა და სპონტანური ტრანსფერები — მიგვაჩნია, რომ ეს ორი რამ ერთმანეთისგან არ უნდა გავმიჯნოთ.

დავით თავართქილაძე

შეჯიბრი ჩრდილიდან გამოსვლისთვის

უფროსი უჰრინი დაფიქრებულია, უმცროსი იმპულსური

უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ დუშან უჰრინის ვაჟზე, უმცროს დუშან უჰრინზე. სტატიაში უფროს უჰრინზეც წერია და ჩავთვალეთ, რომ ამ წერილის ფრაგმენტები ჩვენი მკითხველისთვისაც არ იქნებოდა ინტერესმოკლებული.

უეფას თასის ჯგუფში მოხვედრა უმცროს უჰრინს დაეხმარება, თავი დააღწიოს მამამისის ჩრდილში ყოფნას. 39 წლის მწვრთნელმა ასეთ წარმატებას მოკრძალებულ „მლადა ბოლესლავში“ მიაღწია. თანაც, უეფას თასის პირველ ეტაპზე მისმა გუნდმა მარსელის „ოლიმპიკი“ დაამარცხა. მამამისის გაწვრთნილმა „სპარტამ“ კი იმავ „ოლიმპიკს“ 1991-92 წლების ევროპის ჩემპიონთა თასზე მოუგო.

ახლა უმცროსი უჰრინი მამას სხვა მიღწევებშიც ეჯიბრება და ამბობს: „ის ჩემი კერპი იყო. მაშინაც კი, როცა ბავშვი ვიყავი მასზე სულ ვკითხულობდი გაზეთებში, თუმცა მოწყენილი ვიყავი, როცა სახლიდან შორს წასვლა ხშირად უწევდა. მაშინაც მინდოდა, რომ მამასავით წარმატებული ვყოფილიყავი და ახლაც იგივე მსურს“.

მამასაც და შვილსაც დიდად არ გაუმართლათ ფეხბურთელობაში, ორივე ტრავმიანობის გამო შეეშვა თამაშს. უფროსი უჰრინი ფეხბურთელობის შემდეგ მალევე შეუდგა მწვრთნელობას, უმცროსი კი ჯერ სარეკლამო და უძრავი ქონების სააგენტოში მუშაობდა.

უფროსი უჰრინი ახლა ქართულ გიგანტ „დინამო თბილისს“ წვრთნის და ყოველთვის გაურბის „მლადა ბოლესლავს“. მას არ უყვარს თავისი შვილის გუნდის ყურება მაშინაც კი, როცა ის პრაღაშია — ცუდი ფეხი არ მქონდესო.

„ერთმანეთში ხშირად ვსაუბრობთ ფეხბურთზე და „ოლიმპიკთან“ მატჩისთვის მან ჩვენთვის დაზვერვითი სამუშაოებიც კი ჩაატარა, თუმც არ შეუძლია დაიჯეროს, რომ „ოლიმპიკი“ დავამარცხეთ“ — ამბობს უმცროსი უჰრინი და დასძენს რომ ის და მამამისი მკვეთრად განსხვავებული სტილის მწვრთნელები არიან — ის ჩემზე უფრო დაფიქრებულია, მე კი მასზე უფრო იმპულსური“.

ვეტერან მწვრთნელს კი მისი შვილის ინსტინქტის სჯერა და იმედი აქვს, რომ მათი ოჯახური ტრადიცია ევროპული ფეხბურთის შემადგენელი ნაწილი იქნება.

კახა კალაძე ოქროს ფრთიანია

იმედის ფეხბურთი

შუა საფეხბურთო სეზონია და კახა კალაძემ ერთი პრიზი უკვე მიიღო. გუშინ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა საქართველოს ნაკრების კაპიტანი და იტალიური „მილანის“ მცველი „ოქროს ფრთით“ დააჯილდოვა.

— სასიამოვნო და სასიხარულოა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ახლაც რომ დამაჯილდოვეს. ზაფხულში სწორედ „სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვით ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტებმა დამასახელეთ და ეს პრიზიც ამიტომ გადმომცეს. მადლობა ჟურნალისტებს — გვითხრა გუშინ კახა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას „სარბიელი“ 1993 წლიდან ატარებს და წინა სეზონის დამსახურებით კახა კალაძე ჟურნალისტთა რჩეული უკვე მეოთხედ გახდა.

ვულოცავთ კახას მორიგ დაფასებას.

ლუკა თალაკვაძე

ძველი კაცი ქართველებს

ლიპიმ ლოკომოტივი იუარა

მალხაზ ასათიანის და გიორგი ჭელიძის „ლოკომოტივმა“ მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელს, იტალიელ მარჩელო ლიპის გუნდის გაწვრთნა შესთავაზა. რუსული პრესის ცნობით, რკინიგზელები მზად იყვნენ, სახელოვანი მწვრთნელისთვის წელიწადში სამი მილიონი დოლარი გადაეხადათ, მაგრამ ლიპიმ იუარა.

ამგვარად, ეს ვარიანტი მალევე ჩაიშალა და... დიდი შანსია, ქართველ ფეხბურთელებს ისევ ძველი მწვრთნელი დაუბრუნდეთ — იური სიომინი თანახმაა, „ლოკომოტივში“ დაბრუნდეს და ახლა პირადი კონტრაქტის დეტალებს ათანხმებს კლუბის ხელმძღვანელობასთან.

როგორც ამბობენ, კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში ახლანდელი თავკაცი ოლეგ დოლმატოვი სიომინის თანაშემწედ გადავა.

ვნახოთ, ვის ხელში მოუწევთ თამაში ასათიან-ჭელიძის დუეტს.

კახა ზალამგერიძე

გიორგი ფოფხაძემ ვიბორგი გაიხანგრძლივა

ქართველს დანიაში შვედი ენდობა

ბალერი კეთილაძის ფოტო

ბერძნული „ოლიმპიაკოსი“, შვედური „ჰეკენი“, შოტლანდიური „ჰართსი“, გერმანული „ბურგჰაუზენი“ და დანიური „ვიბორგი“ — „თბილისიდან“ წასვლის შემდეგ გიორგი ფოფხაძემ ეს კლუბები მოიარა, თუმცა მხოლოდ ვარჯიშობდა, უკონტრაქტოდ იყო და საბოლოოდ „ვიბორგში“ დაფუძნდა. 20 წლის ნიჭიერი მცველი ახლა თბილისშია, დანიიდან წამოსვლის წინ კი „ვიბორგთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი...

— როგორც იქნა, საჩემო კლუბი მოვნახე. მართალია, „ვიბორგი“ დანიური მასშტაბით უძლიერესთა რიგებს არ მიეკუთვნება, მაგრამ ამდენ ხეტიალს და კლუბების ძებნას კი სჯობია. თანაც ახალ, 2,5-წლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

— დანიის ჩემპიონატის პირველ წრეში ძალიან იშვიათად გიწევდა თამაში...

— ახლა სიტუაცია შეიცვალა. ახალი მწვრთნელი, შვედი ლინდეროტი მენდობა და ბოლო ხუთ შეხვედრაში მათამაშა კიდეც, მათ შორის, სკანდინავიის სამეფო ლიგის მატჩებშიც.

— ლინდეროტამდე „ვიბორგის“ ყოფილი მწვრთნელი რატომ არ გათამაშებდა?

— მასზე ცუდი როგორ მეთქვა, მაგრამ აშკარად მატყუებდა. მატჩის წინა დღეს მეტყოდა, მოემზადე სათამაშოდო, მაგრამ...

— „ვიბორგი“ ცხრილის ქვედა ნაწილშია. დანიაში დიდი განსხვავებაა „კოპენჰაგენ“-„ბრონდბიუსა“ და დანარჩენ გუნდებს შორის?

— „ბრონდბიუ“ ვერ არის ფორმაში, ცხრილის შუაშია. „კოპენჰაგენი“ კი აშკარად ძლიერია. თუმცა დანიის ჩემპიონატში ძალიან დაძაბული მატჩებია, იოლად და ოფლის დაუღვრელად თამაშს ვერ მოიგებ. რაც შეეხება „ვიბორგს“, შარშანდელი სეზონი გუნდმა მეოთხე ადგილზე დაასრულა, მაგრამ წლეულს აშკარად ჩაუვარდა სეზონი. „ვიბორგის“ ორი ფეხბურთელი დანიის ნაკრებშიცაა მიწვეული, ერთი კი ნიგერიის ნაკრების წევრიცაა.

— ლეგიონერებზე ლიმიტი არ არის დანიაში?

— სამ ლეგიონერს შეუძლია თამაში, სულ კი ცხრანი ვართ: ერთი ბრაზილიელია, ერთი ამერიკელი, დანარჩენი კი ნიგერიელები არიან — „ვიბორგს“ საკუთარი სკოლა აქვს ნიგერიაში და იქიდან ჩამოჰყავს ახალგაზრდები.

— დანიის ჩემპიონატში საუკეთესო ფეხბურთელად ვინ ითვლება?

— რამდენიმე გამორჩეული მოთამაშეა: ვთქვათ, „კოპენჰაგენის“ ტობიას ლინდეროტი და მარკუს ოლბაკი. სხვათა შორის, ლინდეროტი ჩვენი მწვრთნელის შვილია.

— საქართველოს ჩემპიონატს დანიისა ნაღდად სჯობია და კერძოდ, ყველაზე მეტად რა განსხვავებაა?

— ათლეტიზმი, ბრძოლა, მოძრაობა... მართლა მაღალი დონის ჩემპიონატია დანიაში, შვედეთისასაც სჯობია. ამას რომ თავი დავანებოთ, ლამის ყველა მატჩს, სულ მცირე, ათი სელექციონერი მაინც ესწრება — ამიტომაცაა, დანიელი ფეხბურთელები ასე მოდებულნი რომ არიან სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში. ჩემი წაყვანა „ფეიენოორდს“ სურდა გასინჯვაზე, თუმცა მენეჯერმა მირჩია, მაგისთვის ადრეა, ჯერ „ვიბორგში“ მომაგრძელო. აქვე მითხრა, „ფეიენოორდის“ თვალთახედვის არეში ისედაც იქნებიო.

— შენი მენეჯერი ვინ არის?

— ტიმ სანდერსი. ძალიან სერიოზული მენეჯერია.

— „ვიბორგმა“ კარგი პირობები შეგიქმნა?

— დიახ. მთლიანობაში დანია საოცრად დალაგებული ქვეყანაა, ცხოვრების დონე ძალიან მაღალია. ფეხბურთიც სიგიჟემდე უყვართ დანიაში — მიუხედავად იმისა, რომ ცხრილის ქვედა ნაწილში ვართ, საშინაო მატჩებზე, სულ მცირე, 10 ათასი კაცი დადის, თან ახალი, კიხტა სტადიონი გვაქვს.

— არდადეგები როდემდე გაქვს?

— 6 იანვარს უნდა ჩავიდე დანიაში, მერე კი აშშ-ში მივდივარო შეკრებაზე.

— ბოლო ხუთი მატჩი რა პოზიციაზე ითამაშე?

— ერთხელ მარცხენა ნახევარმცველად, დანარჩენი კი — მარცხენა მცველად. სამეფო ლიგის მატჩში კი ბოლო წუთებზე საგოლე პასი გავაკეთე და ის თამაში 1:1 დასრულდა, თუმცა, სამწუხაროდ, ჯგუფიდან მაინც ვერ გავედით.

— რაც „ვიბორგში“ ხარ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიდან აღარ შეხმიანებიან?

— სამწუხაროდ, არა. თუმცა, იმედია, ამის დროც მოვა.

ილია ნანოგაშვილი

მეგრელაძეში გაცვლილი ადამია

აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ ბაქოს „ნეფთჩი“ სატურნირო ცხრილში 21 ქულით მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ ბურთების სხვაობით უსწრებს თანაქალაქელ „ბაკის“ და ევლახის „ქარვანს“. პირველ წრის „ნეფთჩის“ საუკეთესო ფეხბურთელად კი ჟურნალისტებმა გიორგი ადამია დაასახელეს.

„ქართველი ფეხბურთელი ერთადერთია, ვინც აზერბაიჯანში ლეგიონერის სტატუსს სრულყოფილად ამართლებს. ჯერჯერობით ჩვენთან არ მოიძებნება მოთამაშე, რომელსაც შეუძლია, ასე ძლიერად და ეფექტურად ითამაშოს ფლანგზე. საინტერესოა ადამიას „ნეფთჩიში“ მოსვლის წინაისტორიაც: თავდამსხმელის ძებნაში ჩართულმა „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობამ სელექციონერი მუსა გურბანოვი საქართველოს ქალაქ ქუთაისში გააგზავნა, სადაც „ტორპედო“ „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობდა. საქართველოში ჩასვლის მიზანი იყო „ტორპედოს“ თავდამსხმელ გიორგი მეგრელაძეზე დაკვირვება, რომელიც ამჟამად „ბაკიში“ თამაშობს. შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ადამია, რომელმაც გოლიც გაიტანა, მოედანზე საუკეთესო იყო. გურბანოვმა კონკურენტ „ბაკის“ წარმომადგენლებს დაასწრო და ადამიას შესთავაზა, ბაქოში გასინჯვაზე ჩასულიყო. ფეხბურთელი მოიწონეს, გუნდში ჩარიცხეს და ადამიამ თავისი ოსტატობა 2005 წლის „თანამეგობრობის თასზე“ დაამტკიცა, როდესაც სომხურ „პიუნიკს“ გადამწყვეტი გოლი გაუტანა...

...გასაოცარია ის ფაქტი, რომ ადამიას არ იწვევენ საქართველოს ნაკრებში. თუმც, დარწმუნებულნი ვართ, ეს მალე მოხდება. 25 წლის ნახევარმცველი მწვავედ და აქტიურად თამაშობს ორივე ფლანგზე, ხარისხიანად შეუძლია თავდამსხმელისა და გამთამაშებლის ფუნქციების შეთავსება. „ქარვანის“ კარში გატანილი გოლი-შედეგი კი ალბათ სეზონის საუკეთესო გახდება“ — წერს აზერბაიჯანული ვებგვერდი.

აზერბაიჯანელებს სომხების კარში გატანილი გოლი როგორ გამორჩებოდათ, მაგრამ მთავარი კი გამორჩათ — გიორგი ადამია 2005 წლის „თანამეგობრობის თასის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა 6 გოლით.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მე თვითმფრინავში ვცხოვრობ

ყოფილი სტიუარდესას მორცხვი ქმარი

რომან აბრამოვიჩი

დაიბადა სარატოვში, მდინარე ვოლგისპირა ქალაქში 1966 წლის 24 ოქტომბერს. სამი წლისაც არ იყო, დედამისი სისხლის მოწამვლით რომ გარდაიცვალა, მამა კი მშენებლობაზე მუშად იდგა და უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

განათლება: სწავლობდა კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ უხტის ინდუსტრიულ ინსტიტუტში. მსახურობდა ჯარში, რის შემდეგაც მოსკოვის სამართლის ინსტიტუტში აიღო დიპლომი.

ბიზნესი: პირველი სარფი ნავთობში ნახა. მისი ინტერესის სფეროში შედიოდა აგრეთვე ალუმინი და საავიაციო სფერო, კერძოდ, ავიაკომპანია „აეროფლოტი". ახლა ფლობს დიდ წილს ფოლადში, ფარმაცევტიკაში, კვების მრეწველობასა და ჟურნალ-გაზეთებში. მისი საკუთრებაა ფეხბურთის კლუბი „ჩელსი", რომელშიც 2003 წელს 140 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

პოლიტიკა: აპირებს ჩუკოტკის გუბერნატორობიდან გადადგომას.

ქონება: 19,5 მილიარდი დოლარი. მსოფლიოში მე-11 უმდიდრესი ადამიანი. ბრიტანეთში მასზე მდიდარი მხოლოდ ფოლადის მაგნატი ლაკშმი მიტალია.

ოჯახი: პირველ მეუღლეს ოლგას 1987 წელს დაუკავშირდა, მაგრამ 1989 წელს გასცილდა. ოლგა მასზე სამი წლით უფროსი იყო. მეორე მეუღლეს ირინა ჰქვია. ჰყავთ ხუთი შვილი.

„ჩელსის" მილიარდერმა მეპატრონემ რომან აბრამოვიჩმა ინგლისურ გაზეთ „გარდიანს" ინტერვიუ მისცა, პირველი ბოლო სამ წელიწადში. და ეს არ არის ზედაპირული ინტერვიუ. პირიქით, მოსკოვს მივლინებულმა ჟურნალისტმა დევიდ სმიტმა სცადა ყველა თემა მოეცვა: აბრამოვიჩის კრემლთან ურთიერთობა, ჭორები ცოლთან გაყრის შესახებ, ჩუკოტკის გუბერნატორობიდან წასვლის ამბავი და სხვა, ოღონდ ეს ყველაფერი შავი ასოებით აკრეფილი კითხვებისა და თეთრი პასუხების ფორმით არ არის მოცემული, ინტერვიუ ინგლისურ პრესაში გავრცელებული ციტატებიანი თხრობის სტილითაა შესრულებული.

„ის ძალიან წყნარი ადამიანია — ამბობს აბრამოვიჩის ერთ-ერთი თანაშემწე — მისი აღწერისთვის ყველაზე ზუსტი სიტყვა „მორცხვი" იქნებოდა".

მრავალი სიტყვა არსებობს: მკაცრი, გულუხვი, თამამი, ანგარიშიანი, შორსმჭვრეტელი, მაგრამ მორცხვი? მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ადამიანის დასახასიათებლად მეტად უცნაური ზედსართავი სახელია. აქ ხომ საუბარია რუს ოლიგარქზე, რომელსაც ეყო თავხედობა ინგლისურ ფეხბურთს ყელში წვდომოდა.

როდესაც რომან აბრამოვიჩს პირველად ხვდები, არ იცი რას უნდა ელოდო. მის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. არავინ იცის რა შეხედულებები აქვს ბიზნესის შესახებ, რას ფიქრობს პოლიტიკასა თუ სპორტზე. ამ კაცს მხოლოდ ხმები და „აბა, თუ მიხვდები" აკრავს. იმაში, თუ როგორ იშოვნა 90-იანი წლების „კოვბოური კაპიტალიზმის" რუსეთში მილიარდები, რაღაც უსიამოვნო იგრძნობა. როგორ და როდის მოახერხა პრეზიდენტ პუტინის მფარველობის ქვეშ მოხვედრა, მაშინ როდესაც სხვა ბიზნესმენები ციხეში ჩასვეს? როგორი იქნებოდა ფეხბურთი ის რომ არ გამოჩენილიყო? როგორი იქნება ფეხბურთი როდესაც ის დაეხსნება?

თუმცა ახლა უკვე მეტი ვიცით. სამწლიანი დუმილის შემდეგ აბრამოვიჩმა მოგვცა ინტერვიუ, სადაც ისაუბრა თუ რატომ აირჩია მაინც და მაინც ინგლისური ფეხბურთი და დაგვამშვიდა, რომ დიდძალი თანხების ასეთი ფლანგვა სახეობას არ დაზიანებს. შემდეგ მან სცადა გაებათილებინა მითები და ჭორები თავისი ბავშვობის შესახებ და გვიამბო ლონდონის რუსულ ელიტაში ცხოვრების შესახებ. ის პასუხობს ლიტვინენკოს მოწამვლის შესახებ დასმულ კითხვებს თუმცა მოხერხებულად ირიდებს კრემლთან კავშირებზე საუბარს და სამი ბრიტანეთისწელა რეგიონის გუბერნატორობიდან წასვლის თემას. სხვათა შორის ამ რეგიონში აბრამოვიჩი იქცეოდა როგორც უდიდესი ჰუმანისტი.

და აი, 40 წლის მშვიდი ოლიგარქი თავის საფინანსო კომპანიაში, თათბირებისთვის განკუთვნილ ლაკირებულ ოთახში ზის. აქედან წითელ მოედნამდე ორი ნაბიჯია. უკან პუტინის პატარა სურათი ჩანს. აქვეა გრძელი თევზის ქანდაკება, რომელიც აბრამოვიჩმა საჩუქრად მიიღო. მუხის მაგიდაზე მინერალური წყლის ბოთლებია — ცხოვრების ფხიზელი წესის მიმდევრის მუდმივი ატრიბუტი. დაცვის კვალიც კი არსად ჩანს.

ისევე, როგორც მისებრ მილიარდერი ამერიკელი ბილ გეიტსი, აბრამოვიჩიც გამხდარია. ამასწინათ ავსტრიულ კლინიკაში იმყოფებოდა, სადაც, როგორც იტყობინებოდნენ, სტრესს კი არ მკურნალობდა, რამდენიმე ზედმეტ კილოგრამს იკლებდა. მას უკან დავარცნილი ყავისფერი თმა და ცისფერი თვალები აქვს. ჩვეულებრივ ჯემპრებსა და ჯინსებში გრძნობს თავს კომფორტულად, მაგრამ დღეს მუქი-ნაცრისფერი, წვრილზოლიანი კოსტუმი აცვია. ჰერანგზე არც საყელო აქვს და არც ჰალსტუხი უკეთია. მიუხედავად იმისა, რომ 10,8 მილიარდი გირვანქის პატრონია, რაც ბრიტანეთში მეორეობას ნიშნავს, მაჯაზე მსხვილი და როგორც ვატყობ, იაფიანი საათი უკეთია.

ინტერვიუს პირველ ნაწილში ჩვენი საუბრის მთავარი თემა ჩუკოტკაა. ეს გახლავთ რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ყინულოვანი რეგიონი, სადაც აბრამოვიჩი ექვსი წლის განმავლობაში გუბერნატორობდა და სადაც საკუთარი ჯიბიდან ასობით მილიონი დახარჯა რათა სკოლები და საუკეთესოდ აღჭურვილი საავადმყოფოები აეგო. ის მოკრძალებული ხმით საურობს, თუმცა იმ ადამიანს ჰგავს, რომელმაც იცის, რომ მსმენელები მის ერთ სიტყვასაც არ გამოტოვებენ. მან ერთხელ BBC-ზე გამოსვლა იუარა, დღეს კი დიქტოფონის ჩართვაც კი აკრძალა.

მარჯვენა მხარეს საშა ბოროდინი უზის, ასისტენტი და თარჯიმანი. აქვეა ამერიკელი ჯონ მენი, აბრამოვიჩის პრეს მდივანი და ჭორების გამფანტავი. ჭორზე, თითქოს ირინა აბრამოვიჩი განქორწინებათა სპეციალისტ ადვოკატებთან გადის კონსულტაციებს, იგი ამბობს, რომ „აშკარა ტყუილია". ამასობაში აბრამოვიჩი მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით ზის და მართლა შეეფერება სიტყვა მორცხვი.

როდესაც საუბარი ფეხბურთზე გადადის, ის უფრო მოსვენებულია. ასე განსაჯეთ, ეუბნები, რომ უძირო ქისითა და სატრანსფერო ბაზარზე „საფანტის თოფის" სროლით იგი ფეხბურთს მდიდართა გართობად აქცევს, მაგრამ არ ბრაზდება.

„ვერანაირ საშიშროებას ვერ ვხედავ — პასუხობს აბრამოვიჩი — ფულს ფეხბურთში მნიშვნელოვანი ადგილი კი უჭირავს, მაგრამ გადამწყვეტი ნამდვილად არ არის. მაგალითად, როდესაც „ჩელსი" „ქარლინგის თასზე" სათამაშოდ პატარა ქალაქში ჩადის და მატჩი ფრედ მთავრდება, ეს ფეხბურთის სულისა და საბრძოლო ატმოსფეროს გამოვლინებაა. ინგლისური ფეხბურთის ბრწყინვალება სწორედ ამაშია".

რომან აბრამოვიჩს, რომელმაც პირველი ფული 90-იან წლებში ნავთობით იშოვნა — ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთში სახალხო საკუთრების პრივატიზაცია დაიწყო — ინგლისში არავინ იცნობდა, სანამ სამი წლის წინ „ჩელსი" არ იყიდა და ფეხბურთში ყველაფერი ყირაზე არ დააყენა. მას მერე აბრამოვიჩმა კლუბის ვალების გადახდასა და ახალი ფეხბურთელების ექსტრავაგანტურ თანხებად ყიდვას ნახევარ მილიარდამდე დაახარჯა.

ასეთმა სიუხვემ გულშემატკივრებში ჩვეულებრივ შურზე უფრო ძლიერი გარძნობა, აღშფოთება გამოიწვია. „ჩელსი" ახალი ამბიციებითა და მსოფლიოს უძლიერეს კლუბად გახდომის სურვილით, იმავე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საძულველ კლუბად იქცა. ამ კლუბმა აბრამოვიჩული სატრანსფერო პოლიტიკით ევროპაში ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვის წესი და რიგი არია, ხოლო ბევრ ადამიანს პირში მწარე გემო დაუტოვა.

თავიდან ხანგრძლივი პაუზა იყო, ბოლოს: „ძნელი სათქმელია" — თქვა აბრამოვიჩმა, მაგრამ ეს პასუხი დათმობას ჰგავდა. შემდეგ კი მან დაიწყო ლაპარაკი და განმარტა, რომ ამ საქმეში მარტო „ჩელსი" არ უნდა ეძებონ.

არავინ იცის რამდენ ხანს იარსებებს აბრამოვიჩის იმპერია. ერთმა კაცმა, რომელიც მასთან წლების განმავლობაში მუშაობდა, გაგვაუგრთხილა: „ის ბევრ რამეს დიდი ენთუზიაზმით იწყებს, თუმცა ხშირად ეს დიდხანს არ გრძელდება. მაგალითად, აბრამოვიჩი რამდენიმე წლის განმავლობაში ნავთობით იყო გატაცებული, მაგრამ გული აიყარა. იგივე შეიძლება ითქვას ჩუკოტკაზეც. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთსაც ასეთი დღე ელის".

თუმცა, აბრამოვიჩი ამ კითხვისთვის მზად აღმოჩნდა, პასუხი ძალიერად გასცა: „ალბათ, ჩემი ნაცნობები გეტყოდნენ, რომ პრემიერლიგის ერთი-ორ ტიტულს რომ მოვიგებ ფეხბურთისადმი ინტერესს დავკარგავ, მაგრამ ხომ ხედავთ, პრემიერლიგის ორი ტიტული უკვე მოვიგე, მაგრამ წლეულს წინა ორ სეზონთან შედარებით უფრო გატაცებული ვარ. მე სხვანაირი გულშემატკივარ ვარ, ყოველი კონკრეტული თამაშის წინ ვღელავ. ჩემთვის ყოველდღიური პროცესი სეზონის ბოლოს მოგებულ ჯილდოზე მნიშვნელოვანია".

აბრამოვიჩი იმ მდიდარ რუსთაგანია, ლონდონის ყველაზე პრესტიჟული უბნები რომ დაიკავა. მას აქვს 28 მილიონ გირვანქად შეფასებული სახლი ბელგრავიაში, 18 მილიონიანი მამული ვესტ სასექსში. მისი მეუღლე, ირინა, ყოფილი სტიუარდესა, ლონდონურ ცხოვრებას აგემოვნებს და ხუთი შვილი ინგლისურ სკოლებში დაჰყავს, თუმცა ამის — და კიდევ სან ტროპეს 10 მილიონიანი ვილის, ორი სუპერიახტისა და ბოინგ 767-ის — მიუხედავად იგი ინგლისის დედაქალაქში ყოფნისას შინ ვარო არ ამბობს.

„მე თვითმფრინავში ვცხოვრობ, ლონდონში ჩასვლა კი მიყვარს. სად ვიცხოვრებდი მოსკოვის გარდა? უპირველეს ყოვლისა ლონდონში და შემდეგ ნიუ იორკში, თუმცა თავს შინ მოსკოვში ვგრძნობ. მე წელიწადის ოთხ სეზონს ვარ შეჩვეული, თუმცა ლონდონელებს ამის გაგება უჭირთ. ჩემი შვილების მსგავსად რუსეთში დაბადებულ ბავშვებს თოვლში თამაში სჭირდებიო".

ფულით ბედნიერებას თუ იყიდით?

—ვერ ვიტყოდი, რომ ფულით ბედნიერების ყიდვა შესაძლებელია, გარკვეულ დამოუკიდებლობას კი შეიძენ".

ირინა და რომანი

(გაგრძელება იქნება)

არშემდგარი განგსტერი კადიავიაკოპედან

ქუჩის ბიჭების ძმაკაცი ემანუელი

ემანუელ ადებაიორი ის ბიჭია, ვისაც სულ ღიმილი დასთამაშებს სახეზე.

ის ყოველდღე მადლობას უძღვნის უფალს, რადგან სამშობლოდან ევროპაში გადმოისროლა მშობლიური ტოგოდან და ასეთი ცხოვრება აჩუქა.

ადებაიორი ამბობს, რომ ბევრ ფეხბურთელს ვერც კი წარმოუდგენია, რამხელა იღბალია პრემიერლიგაში თამაში.

ამ თვის ყველაზე დასამახსოვრებელი „მეთოფე", რომელიც ტოგოში ახლა ეროვნულ გმირადაა შერაცხული, ჰყვება: „ადრე ჩემი სამშობლო წყნარი და კარგი ადგილი იყო. ის ახლაც ძალიან მიყვარს, მაგრამ იქ სიმშვიდე არ არის. სიმართლეს ვიტყვი, რომ ფეხბურთელი რომ არ გამოვსულიყავი, განგსტერი ვიქნებოდი. ყველა ჩემი ძველი მეგობარი ქუჩის ბიჭია. ჩემი მშობლიური ქალაქი ლომე მათ ხელშია: სვამენ, წამალზე არიან და ბანდიტობენ. ასეთია ცხოვრება აფრიკის ბევრ ქვეყანაში. აქ კი, ცხოვრებას შეირგებ. ეს საუცხოო რამ არის. მე ბედმა გამიღიმა. „არსენალშიც" კარგი ბიჭები დამხვდნენ. თუმცა, ბევრ ფეხბურთელს ავიწყდება რა კოშმარიდან მოვიდა ამ ცხოვრებამდე და რას ჭამდა 15 წლის რომ იყო. საწყალი დედაჩემი სულ ერთიდაიგივე საჭმელს გვიხერხებდა კარტოფილით. მთელი დღეები ამას ვჭამდით. მოხარშულ კარტოფილს აქაც ხშირად ვჭამ. ჩემი გელფრენდი ჩარითი აკეთებს ხოლმე. წარსული სიდუხჭირე რომ არ მახსოვდეს და სხვებივით რომ არ განვიცდიდე, ტყვიას ვიკრავდი შუბლში. ასეთი ცხოვრება რად მინდა?"

აწ 21 წლის ადებაიორი პატარა სოფელ კადიავიაკოპეში დაიბადა და ქალაქად მერეღა გადავიდა.

„ყოველთვის მინდოდა ჩემი ოჯახის დახმარება, — ამბობს ის, — ახლა გამომდის. თან, შინ რომ მივდივარ, მაიკებს და ბუცებს ავიკიდებ ხოლმე და ბიჭებს ვურიგებ".

ადებაიორი ლომეს „სიდიეს"-ში თამაშობდა და მერე ფრაგნულმა „მეცმა" იყიდა. იქიდან „მონაკოში" მოხვდა, ერთი წლის წინ კი „არსენალში".

„ეს ზღაპარი იყო, — ხარობს ფეხბურთელი, — აქ ჩემი კერპი, კანუ თამაშობდა. მე მისი პლაკატები მქონდა ბავშვობაში. ტოგოში ბინა რომ ვიყიდე, იქ ხელახლა გავაკარი მისი პლაკატები. გუნდში მისულს მისი ნომერი, 25 მერგო... და გასულ კვირაში მის წინააღმდეგაც ვითამაშე, „პორტსმუთთან". სიმართლე რომ ვთქვა, „არსენალში" უხელფასოდაც ვითამაშებდი. „პორტსმუთთან" მატჩისას ანრის ვეუბნებოდი, ფეხბურთელად ამ კაცმა მაქცია-მეთქი".

ადებაიორი ოხუნჯი ყოფილა და მთავარ სამიზნედ ემანუელ ებუ ჰყოლია, წუწაობით ვირთობთ ხოლმე თავსო.

ანრის ტრავმის გამო ის თავდასხმის მთავარ ფიგურად იქცა და როგორც მოთამაშე ძალიან იზრდება.

„იცით რა? მომწონს რომ მაქებენ, მაგრამ მინდა ანრი მალე დაბრუნდეს. ის საოცრად მეხმარება" — ამბობს ადებაიორი, რომელსაც მართლა ეკუთვნის თამაშიც, ხელფასიცა და ფეხბურთიც.

ირაკლი გამყრელიძე

ფრედერიკ პიკიონი

კაიასო ფაქსმა გადარია

ფრანგული „ლიონის" მწვრთნელ ჟერარ ულიეს იანვარში ფორვარდის დამატება რომ უნდა, უკვე ძველი ამბავია. როგორც ჩანს, გამოცდილ ტაქტიკოსს „სენტ ეტიენის" თავდამსხმელ ფრედერიკ პიკიონისთვის დაუდგამს თვალი, თუმცა მას სხვა მსურველებიც ჰყავს. „რენის" ყოფილი ფეხბურთელის თქმით, იგი მზადაა, გუნდი გამოიცვალოს თუ საინტერესო წინადადებას მიიღებს.

„ჯერ „სენტ ეტიენის" ხელმძღვანელობას უნდა ვესაუბრო და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ. ვიცი ჭორები „ლიონის" ჩემდამი ინტერესის შესახებ, მაგრამ სხვა დიდ კლუბებსაც სურთ ჩემი შეძენა, ძირითადად ინგლისური პრემიერლიგიდან" — თქვა პიკიონიმ.

„სენტ ეტიენის" თავმჯდომარემ ბერნან კაიასომ დაადასტურა, რომ „ლიონისგან" ფაქსი მიიღო, თუმც ამ კლუბებს ერთმანეთში არცთუ კარგი ურთიერთობა აქვთ და მოლაპარაკებაც ადვილი არ იქნება. კაიასო იმითაა უკმაყოფილო, რომ „ლიონმა" რამდენიმე დღე არ მოიცადა და ფაქსი სწორედ მაშინ გაგზავნა, როცა „მწვანეებს" ლიგის თასის მოეთხედფინალური მატჩი ჰქონდათ „ბორდოსთან" სათამაშო. მისი აზრით, ეს ინფორმაცია პიკიონს თავგზას აურევს და შესაძლოა, სათანადოდ ვერ გაისარჯოს.

ულიემ კი აღნიშნა, „კორინთიასიდან" ნილმარის დაბრუნების იდეა მთლად არ მხიბლავს, სხვა ფეხბურთელი მჭირდებაო. „ლომების" ერთ-ერთი სამიზნე დავიდ ტრეზეგეცაა, მაგრამ „იუვენტუსს" მისი გაყიდვა არ სურს.

„სასურველ კანდიდატს ნამდვილად ვეძებ, ოღონდ ეს ნილმარი არ არის, ვინმე სხვა გვჭირდება. თუმცა თუ გუნდი რომელიმე თავდამსხმელმა დატოვა, უკვე ორი ახალი ფორვარდი დაგვჭირდება. რაც შეეხება ჭორებს, იონ კარეუს „სელტაში" განათხოვრების შესახებ, ტყუილია" — განაცხადა ულიემ.

კოკი კანდელაკი

რა მოხდა სინამდვილეში

აი, როგორ იყო რუდ ვან ნისტელროის წამოსვლა „მანჩესტერიდან".

ამბავი „მანჩესტერ" — „უიგანის" თასის ფინალისას დაწყებულა, რომელიც „მანჩესტერმა" 4:0 მოიგო.

„თამაშის ერთი საათის თავზე ოთხი ბურთით ვიგებდით, — ჰყვება აწ მადრიდელთა მეგოლე ჰოლანდიელი — მე სკამზე ვიჯექი, რადგან ბოლო დროს ჩემს მაგივრად ლუის საას აყენებდნენ. ვფიქრობდი, რომ შეცვლაზე შევიდოდი, გოლსაც გავიტანდი და თასსაც ავწევდი. დიდი ჯილდოა, ბოლოს და ბოლოს. ფერგიუსონმა ჯერ კირან რიჩარდსონი შეიყვანა მინდორზე, მერე ვიდიჩი და ბოლოს კი ევრა, რომელიც სულ ორი კვირის მოსული იყო გუნდში. ავღელდი და ფერგიუსონს წამოვუხტი. ვილანძღებოდი. ჩვენი ურთიერთობაც აქ დამთავრდა. ორივეს ბრალი იყო, მაგრამ არ შევრიგებულვართ".

ვან ნისტელროიმ 219-ჯერ ითამაშა „მანჩესტერში" და 150 გოლი გაიტანა.

„ჩემი წამოსვლა ერთგვარი ტრაგედია იყო, — იხსენებს ფეხბურთელი — ის ისეთი კაცი იყო, რომ „ეინდჰოვენიდან" მძიმე ტრავმის მიუხედავად წამიყვანა და ლოგინში მწოლიარეც კი მოძინახულა. ასეთი ამბები ისე დამთავრდა, რომ არავის მოეწონებოდა. ისე კი, ხალხს ასე არ უნდა მოექცე".

ირაკლი გამყრელიძე



რუუდ ვან ნისტელროი

როდრიგო პალასიო

თავი დაგვანებეთ!

„ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ განაცხადა, რომ „ბარსელონას" თავდამსხმელ როდრიგო პალასიოს მიყიდვაზე უარი უთხრა. სენიორ მაკრის თქმით, თავად ფეხბურთელიც არგენტინაში დარჩენის მომხრეა. „როდრიგო პალასიოს „ბოკა ხუნიორსში" დარჩენა უნდა. ასე რომ, უცხო კლუბებს ვთხოვ, თავი დაგვანებონ და როდრიგოზე სატრანსფერო ნადირობა შეწყვიტონ. პირადად მე კი ძალიან მიხარია, ასეთი დონის ფეხბურთელი „ბოკას" ერთგულებას რომ უმტკიცებს". — თქვა არგენტინელმა პრეზიდენტმა.

მაკრიმ პალასიოზე შეთავაზებები გასულ კვირას მადრიდში ვიზიტის დროს მიიღო. მაშინ „ბოკას" თავკაცი ესპანეთის სატახტოში ფერნანდო გაგოს „რეალში" გადაბარგების საქმეზე იყო ჩასული. „როდრიგო პალასიოს ხელში ჩაგდება მსოფლიო ფეხბურთის გრანდებს უნდათ, თუმცა მე მას არგენტინული ფეხბურთის საუკეთესო ფორვარდად ვთვლი და არც „ბარსას" და არც სხვა კლუბებს ალბათ არ ეწყინებათ, პალასიოს „ბოკა ხუნიორსში" თუ დავიტოვებთ". — აღნიშნა პატაგონიელმა ესპანურ მედიასთან საუბარში. იქაური ვაზეთების ცნობით, „ბარსელონამ" „ბოკა ხუნიორსს" პალასიოში 23 მილიონი დოლარი (18 მილიონი ევრო) შესთავაზა და უარი მიიღო.

„ბარსას" სასურველ ფორვარდს „ბოკასთან" ხელშეკრულება 2010 წლამდე აკავშირებს, თუმცა კლუბი მასზე საკონტრაქტო უფლებების მარტო სამოცდახუთ პროცენტს ფლობს, დანარჩენი კი ინვესტორთა ჯგუფის ხელშია. არგენტინული მედიის განცხადებით, ხსენებულმა ჯგუფმა შეიძლება „ბოკა ხუნიორსზე" ზეგავლენა მოახდინოს და პალსიოს გაყიდვა დაანქაროს.

ლადო ხომერიკი

რიდი ჩარლტონს გაარიდეს

ალან პერდიუ

„ვესტ ჰემის“ ყოფილი მწვრთნელი ალან პერდიუ „ჩარლტონის“ თავკაცად დანიშნეს, ლეს რიდი კი გაათავისუფლეს, რომელმაც დროებით, დაახლოებით ერთი იმუშავა გუნდში. თავის მხრივ, ალან პერდიუ „ვესტ ჰემიდან“ ორი კვირის წინ გაუშვეს და მის ნაცვლად ალან კერბიშლი მიიყვანეს. ალან კერბიშლი ივნისში წავიდა „ჩარლტონიდან“ და იგი იან დოუმ შეცვალა, დოუი კი — ზემოთნახსენებმა ლეს რიდმა. მოკლედ, ასეთი წრე გამოვიდა.

ალან პერდიუმ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ლეს რიდი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წავიდა — ნათქვამია „ჩარლტონის“ ოფიციალურ განცხადებაში — გუნდს პერდიუ ჩაიბარებს, რომელმაც სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი“.

ლეს რიდის „ჩარლტონი“ გასულ უქმეებზე სტუმრად „მიდლსბროსთან“ 0:2 დამარცხდა და ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა. ეს იყო მეოთხე საშინაო მარცხი ამ სეზონში. რიდის ხელში გუნდმა შვიდი მატჩი ითამაშა და მხოლოდ ერთი მოიგო. გარდა ამისა, ლიგის თაისის მეოთხედფინალში ქვედალიგელ „უიკომბთან“ წააგო.

ირაკლი ნინიძე

მსოფლიოს ჩემპიონმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ კარიერას ინგლისში არ გააგრძელებს.

მოგეხსენებათ, რაც იტალიის ნაკრები საფეხბურთო მწვერვალზე აიყვანა და თანამდებობიდან გადადგა, ლიპის ყოველ ცისმარე დღეს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ აკავშირებენ. „მანჩესტერის“ თავკაცი, ლეგენდარული სერ ალექს ფერგიუსონი ხომ თანამდებობიდან მიდის და პრემიერლიგის ამჟამინდელ ლიდერს ახალი ხელმძღვანელი სჭირდება, მაგრამ როგორც ირკვევა თავად ლიპი თავს პრემიერლიგაში ვერ ხედავს.

„ჩემთვის ინგლისში მუშაობა ძნელი იქნება — ბრძანა ტაქტიკოსმა — ჩემთვის ფეხბურთელებთან უშუალო და პირდაპირი ურთიერთობაა აუცილებელი ეს კი თარჯიმნის დახმარებით, ენის ცოდნის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. ვადასტურებ, რომ საზღვარგარეთიდან რამდენიმე წინადადება მივიღე, მაგრამ მათ განსახილველად თავი წამოდგომითაც კი არ შემიწუხებია.ჩემს მდგომარეობას ორისამი თვის შემდეგ გადავხედავ“.

ივნისის შემდეგ უმუშევარი ლიპი შესალოა ისევ სერია A-ს დაუბრუნდეს, თუმცა არ არის გამორიცხული აქაც პრობლემები შეიქმნას.

ლიპის ეგო



„იტალიაში გავაგრძელებ კარიერას თუ სხვაგავან წავალ ჯერ გარკვეული არ არის. ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ მხოლოდ და მხოლოდ 59 წლისა ვარ ასე რომ, სამი-ოთხი წელიწადი კიდევ ვიმუშავებ ჩემს საყვარელ პროფესიაში. კიდევ მაქვს ქარტეხილების და განცდების მოთხოვნილება. მოკლედ, მაისი რომ მოახლოვდება დავჯდები და დავფიქრდები რა ვქნა მომავალში“.

დაირხა ისეთი ხმებიც, თითქოს ლიპი ესპანეთში გადასვლას უმიზნებს.

„ყველა თავის გუნდთან მაკავშირებს, მაგრამ ეს ცუდია, რადგან ამით ისინი მათ გუნდებში ღღეს მომუშავე მწვრთნელებს შეუქმნიან სირთულეებს. მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ რუსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან შეეხმიანენ“ — დააგვირგვინა ლიპიმ.

პაპუნა კედია

XX ტური

დღეს

ევერტონი	:	მიდლსბრო
მანჩესტერი	:	უიგანი
შეფილდი	:	სიტი
ტოტენჰემი	:	ასტონ ვილა
უოტფორდი	:	არსენალი
ვესტ ჰემი	:	პორტსმუთი
ბლეკბერნი	:	ლივერპული
ბოლტონი	:	ნიუკასლი
ჩელსი	:	რედინგი

ხვალ

ჩარლტონი	:	ფულჰემი

ინგლისი
ბრწყინვალე ვითარება

ლონდონის „ჩელსი“ ბოლო ორი ტურია, უკანასკნელ წუთებზე დიდი გაჭირვებით იგებს, მაგრამ, რაც მთავარია, სხვაობა ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მხოლოდ ორი ქულაა. წინა ორ სეზონში, რომლებიც „ჩელსის“ ტრიუმფით დასრულდა, ამ დროისთვის ლონდონელებს მდევრებზე გაცილებით მეტი ქულა ჰქონდათ, ამჯერად კი... მიუხედავად ამისა, ჟოზე მაურინიუ ოპტიმიზმს არ კარგავს და ამბობს, ჩემპიონატის მეორე ნაწილს გაცილებით იოლად ჩავატარებთო.

„ბრწყინვალე ვითარებაში ვართ. სეზონის პირველი ნაწილი დამთავრდა. ათი მატჩი სტუმრად ჩავატარეთ, ცხრა კი — შინ. თანაც „მანჩესტერს“ „ოლდ ტრეფორდზე“ ვეთამაშეთ და სხვაობა მხოლოდ ორი ქულაა. ახალ წელს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვიბრუნდება. ჯანმრთელი ჯონ ტერის, ჯო კოულისა და პეტრ ჩეხის ყოლა ბევრს ნიშნავს. მჯერა, ჩემპიონატის მეორე ნაწილში გაცილებით ძლიერნი ვიქნებით. „იუნაიტედს“ პრობლემები თითქმის არ ჰქონია, ჩვენ კი ტრავმებმა, წითელმა ბარათებმა, დისკვალიფიკაციებმა შეგვიშალეს ხელი. ზოგჯერ მსაჯებმაც დაუშვეს ჩვენ საზიანოდ შეცდომები. ვნახოთ, რა იქნება შემდეგ“ — განაცხადა პორტუგალიელმა ტაქტიკოსმა.

„ჩელსი“ „რედინგს“ მასპინძლობს, რომელმაც ამ სეზონში უკვე არაერთი გაამწარა და ყველა თამაშში ბოლომდე იბრძვის. გავიხსენოთ ისიც, რომ ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა ისეთი დაძაბული იყო, რომ ლონდონელებს ორი მეკარე, პეტრ ჩეხი და კარლო კუდიჩინი დამტვრა, რის გამოც კარში ერთხანს ჯონ ტერი ჩადგა. ტერის თამაში ამჯერად საეჭვოა, „ჩელსის“ კაპიტანს მხარი სტკივა.

„უიგანი“, რომელსაც წინა ტურში „ჩელსიმ“ არიენ რობენის ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოუგო, „მანჩესტერს“ სტუმრობს. „წითელ ეშმაკებს“ ტრავმის გამო არ ეყოლებათ მაიკლ კარიკი. გუნდის ლიდერმა უეინ რუნიმ კი ოჯახური პრობლემები მოაგვარა და ძირითად შემადგენლობას უბრუნდება.

„არსენალისგან“ 2:6 დამცირებული „ბლექბერნი“ „ლივერპულს“ მასპინძლობს. მარკ ჰიუზს მთავარმეგოლე ბენი მაკარტი უბრუნდება. მერსისაიდელთა ფორვარდი კრეიგ ბელამი კი თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს.

„მეთოფეები“ დაშავებული ემანუელ ებუს გარეშე სტუმრობენ აუტსაიდერ „უოტფორდს“. „ბოლტონის“ თავდამსმხელი ელჰაჯი დიუფი კი ასევე ტრავმის გამო „ნიუკასლთან“ ვერ ითამაშებს.

ჯახი იქნება „ვესტ ჰემი“ — „პორტსმუთისა“ და „ტოტენჰემი“ — „ასტონ ვილას“ შეხვედრებშიც.

„პომპეი“ „ჩაქუჩებს“ სტუმრობს. ენდი კოულმა ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ ბოლომდე ჯანზე არ არის და ითამაშებს თუ არა, უცნობია. ხოლო „ვესტ ჰემს“ დისკვალიფიცირებული კაპიტანი ნაიჯელ რეო-კოკერი არ ეყოლება.

AFP

გიორგი კაკაბაძე

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	მანჩესტერი	■	1:1	2:0	0:1		3:0	1:0	3:0			2:0	5:1			3:1						19	15	2	2	41:10	47	7	1	1	20:4	22	8	1	1	21:6	25
2	ჩელსი		■	1:0	1:1		2:1				1:1	1:0				3:0			1:0	2:1	4:0	19	14	3	2	33:13	45	7	2	0	16:4	23	7	1	2	17:9	22
3	ლივერპული			■			0:0	3:0		2:0	3:1	2:0	4:0			1:0		1:1	2:1		2:0	19	10	4	5	28:15	34	8	2	0	20:3	26	2	2	5	8:12	8
4	არსენალი			3:0	■		2:2	3:0	1:1		1:1	1:1			1:1		3:0	6:2			3:0	19	9	6	4	35:17	33	5	5	0	24:8	20	4	1	4	11:9	13
5	ბოლტონი	0:4	0:1	2:0	3:1	■		2:0						0:1	0:0				4:0		1:0	19	10	3	6	22:15	33	5	1	3	12:7	16	5	2	3	10:8	17
6	პორტსმუთი					0:1	■		2:0	3:1	2:2		1:1	1:0			3:1	3:0	2:0		2:1	19	9	5	5	28:17	32	7	2	1	19:7	23	2	3	4	9:10	9
7	ტოტენჰემი		2:1				2:1	■	0:2				0:0	3:1	2:1		2:0		1:0	5:1		19	8	4	7	23:25	28	7	1	1	17:7	22	1	3	6	6:18	6
8	ევერტონი		2:3	3:0		1:0			■		0:1			2:2		1:1	2:0		2:0		2:1	19	7	6	6	24:20	27	5	2	2	15:8	17	2	4	4	9:12	10
9	რედინგი	1:1	0:1		0:4	1:0		3:1	0:2	■					3:2	1:0		1:2		2:0		19	8	2	9	20:25	26	5	1	4	12:13	16	3	1	5	8:12	10
10	ასტონ ვილა	0:3				0:1		1:1		2:1	■	2:0	1:1		1:1	1:3		2:0		2:0		19	5	10	4	21:21	25	4	3	3	12:11	15	1	7	1	9:10	10
11	ნიუკასლი					1:2	1:0	3:1	1:1	3:2		■	1:2	2:1			0:1			0:0	2:1	19	7	4	8	20:21	25	5	2	3	14:11	17	2	2	5	6:10	8
12	ფულჰემი		0:2		2:1	1:1			1:0	0:1			■	0:1	2:1		1:0		0:0	2:1		19	6	6	7	18:28	24	5	2	3	9:8	17	1	4	4	9:20	7
13	უიგანი	1:3	2:3	0:4	0:1					1:0	0:0			■		4:0	0:1			3:2	1:1	19	6	4	9	22:26	22	3	2	5	12:15	11	3	2	4	10:11	11
14	მიდლსბრო	1:2	2:1	0:0			0:4		2:1			1:0		1:1	■			0:1	1:0	2:0		19	5	5	9	17:24	20	5	2	3	10:10	17	0	3	6	7:14	3
15	სიტი				1:0	0:2	0:0	1:2				0:0	3:1		1:0	■	0:0		2:0		0:0	19	5	5	9	15:24	20	4	4	2	8:5	16	1	1	7	7:19	4
16	შეფილდი	1:2	0:2	1:1		2:2				1:2	2:2				2:1		■	0:0		2:1		19	5	5	9	15:25	20	2	4	3	11:13	10	3	1	6	4:12	10
17	ბლეკბერნი	0:1	0:2			0:1		1:1	1:1			1:3	2:0	2:1		4:2		■				18	5	4	9	18:28	19	3	2	4	11:12	11	2	2	5	7:16	8
18	ვესტ ჰემი	1:0			1:0					0:1	1:1	0:2		0:2			1:0	2:1	■	3:1		19	5	3	11	11:24	18	5	1	3	9:8	16	0	2	8	2:16	2
19	ჩარლტონი	0:3		0:3	1:2	2:0	0:1		1:1							1:0		1:0		■	0:0	19	3	3	13	13:33	12	3	2	4	6:10	11	0	1	9	7:23	1
20	უოტფორდი	1:2						0:0		0:0	0:0		3:3		2:0		0:1		1:1		■	18	1	8	9	11:24	11	1	5	2	7:7	8	0	3	7	4:17	3

არგენტინული ფაქტორი და რეალური ფაქტები

„არგენტინული ფაქტორი მადრიდის „რეალში“ — ამ ფრაზის ავტორი ფერნანდო რედონდოა. სამეფო თეთრების სახელგანთქმულმა არგენტინელმა წლების წინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი სამშობლოდან ჩამოსული ფეხბურთელები მადრიდული გრანდის ისტორიაში დიდ როლს ასრულებდნენ და „არგენტინული ფაქტორიც“ ამყად წარმოთქვა





გონსალო იგუანი და ფერნანდო გაგო

მართლაც, ოკეანისგაღმელებმა „რეალის“ განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს და უკვე ას წელზე მეტია, რაც სამეფო გუნდის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლებს წერენ. ბოლოს რედონდოს თანამემამულეებიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რივერ პლეიტის“ გონსალო იგუაინი და „ბოკა ხუნიორსის“ ფერნანდო გაგო მივიდნენ. სულ კი „რეალში“ ოცდაშვიდ პატაგონიელს უთამაშია.

სამეფო გუნდის ყველაზე შესანიშნავი და წარმატებული ეპოქა გუნდში ალფრედო დი სტეფანოსა (1953) და რიალის (1954) მოსვლიდან დაიწყო. მათთან ერთად „რეალმა“ პირველი ხუთი ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. ეს რეკორდი საკლუბო ევროტურნირების გარიჟრაჟზე დამყარდა და მის შემდეგ ის არავის მოუხსნია. „ვერცხლისფერ ისრად“ წოდებული ალფრედო დი სტეფანო უმთავრესი იყო მათგან, ვინც ესპანეთის ჩემპიონატში და საერთოდ მსოფლიოში ბრილიანტისებრ არგენტინულ საფეხბურთო სტილს ამკვიდრებდა. ალბათ, ყველაზე დიდი ფეხბურთელი „რეალის“ ისტორიაში, ან ყველაზე სრულყოფილი. თუმცა რიალიც შესანიშნავი იყო, დი სტეფანოს მიერ გოლით დასრულებული კომბინაციები ხშირად სწორედ მისგან იწყებოდა.

30 წელი უცადეს მადრიდელმა გულშემატკივრებმა, სანამ „ვერცხლისფერი ისრის“ ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ „ბერნაბეუზე“ მორიგ არგენტინულ საოცრებას მიიღებდნენ. ეს ფერნანდო რედონდო იყო. მისმა ელეგანტურმა ბურთაობამ და მოედნის ცენტრში უძლეველობამ „რეალი“ ოცდათორმეტწლიანი გვალვის შემდეგ ნანატრ მეშვიდე ჩემპიონთა თასამდე მიიყვანა. „ფაქტორმა“ თავისი სიტყვა შემდეგაც თქვა. „რეალში“ თავიანთი ძალა მიგელ პერესმა, ვოლფმა, ვალდანომ და ესნაიდერმა აჩვენეს, თუმცა დიდი არგენტინელებიდან ბოლოს მადრიდულ გრანდში სოლარიმ იბურთავა. „ელ ინდიესიტო“ „ბერნაბეუზე“ მოსასვლელ ტურიდან, მადრიდის [illegible] მივიდა, თუმცა [illegible] ცის გამო ახალ კლუბთან შეჩვევა არ გასჭირვებია და მოედნის ცენტრში შესანიშნავად ითამაშა. ვერც ესტებან კამბიასომ (რომელიც „რეალის“ ახალგაზრდულ გუნდში უკვე თხუთმეტი წლისა ჩაირიცხა) და ვერც ვალტერ სამუელმა მადრიდთან შეჩვევა სოლარივით სრულყოფილად ვერ მოახერხეს.

სოლარი და სამუელი „რეალიდან“ 2004-05-ის სეზონის დასასრულს წავიდნენ. მას შემდეგ მადრიდი ითქმის ორი სეზონის განმავლობაში არგენტინელების გარეშე თამაშობდა, სანამ ფაბიო კაპელომ ფერნანდო გაგოსა და გონსალო იგუაინის ყიდვა არ გადაწყვიტა. გაგო ოცი წლისაა და მას უკვე დიდ ფერნანდოს, რედონდოს ადარებენ — გულშემატკივრები ამბობენ, რომ იგი მოედნის ცენტრში რედონდოსავით ძლევამოსილად ირჯება. იგუაინი კი თავდასხმის იმედია, „პიპიტამ“ წინა ჩემპიონატში რვა გოლი შეაგდო და არგენტინის ჩემპიონატის მთავარ აღმოჩენად იქცა. იგი ხომ ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. შეიძლება ითქვას, რომ „ვერცხლისფერი ისრის“ სული მადრიდში არ მომკვდარა და „არგენტინული ფაქტორიც“ თავის სიტყვას ამბობს.

ლადო ხომერიკი

ჭორიკანა კასანოს მომავალი

ჯაჯელოს ჯასილიასი თვალში ეჯატარავება

ანტონიო კასანომ უკვე იცის, რომ მადრიდის „რეალიდან“ წასვლა თავისუფლად შეუძლია, გუნდის უფროსები იტალიელს ამაში ხელს არ შეუშლიან. კლუბმა თავდამსხმელს საშობაო არდადეგებამდე განუცხადა, რომ სრული უფლება აქვს, სამომავლო გუნდის არჩევაზე იზრუნოს და როდესაც მოესურვება, „რეალთან“ მოლაპარაკების მაგიდას მაშინ მიუჯდეს

ფაბიო კაპელო ძალიან გაბრაზებულია კასანოზე. „მარკას“ ცნობით, მას შემდეგ, რაც „ტალენტინიომ“ თანაგუნდელ დიარასთან საუბარში მწვრთნელი გააკრიტიკა (ეს ფრაზები „ესპანიოლის“ „მონჟუიკის“ გასახდელთან CANAL+-მა და დააფიქსირა), დონ ფაბიო ანტონიოს მადრიდში დარჩენის საჭიროებას ვეღარ ხედავს.

მადრიდელთაგან მოძულებულ „ტალენტინიოს“ იტალიურ „რომაში“ დაბრუნება სურს. კასანომ სახელი ამ კლუბში თამაშით გაითქვა, „რომამ“ კი თავის დროზე ძალიან დიდი ფული მისცა „ბარის“ ანტონიოს ხელში ჩასაგდებად. თუმცა ფორვარდის „სტადიო ოლიმპიკოზე“ დაბრუნებას რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს. კასანო „რომადან“ მთლად ღირსეულად არ წასულა, იქაურთა ლიდერ ფრანჩესკო ტოტისთანაც გაფუჭებული აქვს ურთიერთობა და საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაზეც უთამაშია „რეალის“ შემადგენლობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იტალიურ გუნდში გადასვლის შემთხვევაში სალიგო მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

რჩება „მილანის“ ვარიანტი. „როსონერის“ იტალიურ სერია A-ში სავალალო მდგომარეობა აქვს და ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება აუცილებლად სჭირდება. „მილანის“ მოიერიშეები — ინძაგი, ჯილადრინო და ოლივეირა — ამ სეზონში ჩვეულად ვერ გამოიყურებიან. ბერლუსკონის კლუბი „ტალენტინოთი“ ამიტომაც დაინტერესდა.

„რეალში“ კი ამასობაში მეკარეთა ომია გაჩაღებული. თუ ესპანურ სპორტულ მედიას ვენდობით, 2007 წელს კაპელოს გუნდის ძირითად გოლკიპერად არა იკერ კასილიასს, არამედ აქამდე მარადჟამს სათადარიგოებში მყოფ დიეგო ლოპესს ვიხილავთ. რაც კაპელო გუნდში მივიდა, პრესა სულ უფრო დაჟინებით წერდა, მალე „იკერ მხსნელის“ ადგილს დაჩაგრული დიეგო დაიკავებსო. დონ ფაბიოც რაღაც „საეჭვოდ“ იქცევა. მაგალითად, პარასკევს „ვისენტე კალდერონზე“ გამართული „ტროფეო ხესუს ხილზე“ „ატლეტიკოსთან“ მატჩში სათადარიგოებში უკვე იკერი იჯდა. არადა, მატჩში მონაწილეობა ორივე მხრიდან 40 ფეხბურთელმა მიიღო — მწვრთნელებმა შეცვლებს უხვად მიმართეს და „ათლეტთაგან“ მოედანზე ბურთს ფეხი 22-მა, ხოლო სამეფო თეთრებიდან 18 ფეხბურთელმა დაჭრა. მხოლოდ იკერ კასილიასი იჯდა სკამზე თავისთვის, ორივე გუნდის შემადგენლობაში მოედანზე გამოსვლა მარტო მას არ ეღირსა.

მართალია, გაზეთები ლოპესის გამთავრებას წინასწარმეტყველებენ, მაგრამ „მხსნელის“ ასე გაბაიბურება მაინც ყველას გაუკვირდა. ესპანური ტელევიზია „ანტენა 3“ ამტკიცებს, რომ „უელვასთან“ მადრიდში სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ კაპელო და კასილიასი დანასისხლად წაიკიდნენ და მწვრთნელმა მეკარე ხესუს ხილის თასზე სკამზე ყურყუტით დასაჯა. შეგახსენებთ, რომ „რეალმა“ პრიმერადივიზიონში „უელვასთან“ 0:3 წააგო.

დიეგო ლოპესმა კი მშვენივრად ითამაშა „ატლეტიკოსთან“. „ტროფეო ხესუს ხილი“, „ალისფერ-თეთრებმა“ თავისთვის დაიტოვეს, თუმცა ლოპესმა ჯერ თამაშში ფერნანდო ტორესის პენალტი მოიგერია და მატჩისშემდგომ პენალტების სერიაშიც კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი უკუაგდო.

საერთოდ ცნობილია, კაპელო უპირატესობას მაღალ მეკარეებს ანიჭებს (მისთვის იდეალური გოლკიპერი ახმახი ჯანლუიჯი ბუფონია). ამას თუ გავითვალისწინებთ, დიეგო ლოპესს ომის მოსაგებად კიდევ ერთი შანსი ეძლევა, მისი სიმაღლე 196 სმ-ია, ხოლო კასილიასისა — 185.

კაპელომ ჟურნალისტები „რასინგთან“ თამაშის შემდეგ ფრიად გააკვირვა. იმ მატჩში კასილიასმა სანტანდერელთა შემოსევებისგან კარი რვაჯერ გადაარჩინა („მხსნელსაც“ ამიტომ ეძახიან), ხოლო დონ ფაბიომ თამაშისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა: „იკერმა მხოლოდ ერთხელ გააკეთა ფანტასტიკური ნახტომი. ჩვენს მეკარეს გოლი ჯარიმით გაუტანეს, ერთ ეპიზოდში კი რობერტო კარლოსმა გადაგვარჩინა, ბურთი კარის ხაზზე მოიგერია“. თუმცა ფაბიოს „ანტიიკერიზმის“ მწვერვალი მაინც კასილიასის და ბოდო ილგნერის ერთმანეთში არევა იყო. როცა ჟურნალისტებმა დამრიგებელს ჰკითხეს, „ტროფეო სანტიაგო ბერნაბეუზე“, „რეალის“ ძირითადი მეკარე ვინ იქნებოდა, იტალიელმა უპასუხა: „ორი კარგი მეკარე გყავს. ილგნერი და დიეგო ლოპესი“. ბოლოს ილგნერი ათი წლის წინ თამაშობდა მადრიდში და იტალიელს გერმანელი „მხსნელში“ აერია. მოგახსენებთ, რომ „რეალი“ პრიმერადივიზიონს 7 იანვარს „დეპორტივოსთან“ მატჩში უბრუნდება. იქ ვნახავთ, კაპელო რას გადაწყვეტს.

ლადო ხომერიკი

ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ „ექსელსიორის“ ფორვარდ ანდველე სლორეს ყიდვას აპირებს. 24 წლის ფეხბურთელს როტერდამელები კარგა ხანს აკვირდებოდნენ და ბოლოს მისი შეძენა გადაწყვიტეს. სლორემ ამ სეზონში აშკარად მოუმატა, „ფეიენოორდს“ კი თავდამსხმელი სჭირდება. სავარაუდოდ, ფორვარდს ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ.

იტალიური „ფიორენტინას“ ჩეხი მცველი ტომაშ უიფალუში შესაძლოა, ესპანურ „სევილიაში“ აღმოჩნდეს. ჩეხმა „იებში“ ფეხი ვერ მოიკიდა და კლუბის გამოცვლას ლამობს. „სევილიას“ კი ცენტრალური მცველი სჭირდება. „ფიორენტინამ“ უიფალუში 2004 წლის ზაფხულში „ჰამბურგისგან“ 4 მილიონ გირვანქად იყიდა.

გერმანული „ჰანოვერის“ მეკარემ რობერტ ენკემ კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა და ბოლო მოუღო ჭორებს გუნდიდან შესაძლო წასვლაზე. ენკეს გადაბირება „შტუტგარტს“ უნდოდა, რომელიც ზაფხულში ტიმო ჰილდებრანდის გაშვებას აპირებს. ენკე სეზონში მილიონ 300 ათას ევროს იღებს.

შოტლანდიურმა „აბერდინმა“ 40 წლის ფორვარდი კრეიგ ბრევსტერი დაიმატა, რომელიც გუნდს სეზონის ბოლომდე დაეხმარება. ბრევსტერი „დანდი იუნაიტედში“ თამაშობდა, მაგრამ 29 ოქტომბერს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. შოტლანდიური პრემიერლიგის უხუცესი ფეხბურთელი კი 41 წლის სენტმირენელი მცველი ენდი მილენია.

იტალიური „არეცოს“ მცველი ანდრეა რანოკია „ინტერს“, „იუვენტუსსა“ და „ფიორენტინას“ სურთ. არეცოელი ამ სეზონში გამორჩეულად კარგად თამაშობს და ამიტომაც დაადგეს თვალი გრანდებმა. 18 წლის რანოკიას ცენტრში და ორივე ფლანგზე თამაში შეუძლია.

ინგლისური „ასტონ ვილა“ „ტოტენჰემელი“ ფორვარდი ჯერმენ დეფოს ყიდვას ლამობს და 12 მილიონი ევროს გადახდაზე ყაბულსაა. მიუხედავად იმისა, რომ დეფო უკტესად შეცვლებზე თამაშობს, გოლების გატანას მაინც ახერხებს. დეფოს წასვლის შემთხვევაში კი „ტოტენჰემი“ ბლექბერნელი მორტენ გამსტ პედერსენის გადაბირებას შეეცდება.

ესპანური „ბარსელონას“ ფრანგი მცველი ლილიან ტურამი „ატლეტიკოსთან“ მატჩში დაშავდა და ექვსი კვირა მკურნალობა მოუწევს. ფრანგს მარცხენა ფეხის კუნთი გაუწყდა, ტრავმა კი სერხიო აგეროსთან ჯავგურში მიიღო, როცა ამ უკანასკნელმა გოლი გაიტანა.

საჩემპიონო გამოთვლები

ოლივერ კანმა თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კარში მე რომ ვმდგარიყავი, გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდაო.

იურგენ კლინსმანმა მუნდიალამდე რამდენიმე კვირით ადრე გააცხადა ლემანის პირველობა, ხოლო კანს სათადარიგოობა არგუნა.

„ბაიერნის“ კაპიტანი თვლის, რომ ლოგიკურად ნაკრების კარში ის უნდა მდგარიყო: „არ ვაპირებ იენს ლემანის კრიტიკას — აღნიშნა კანმა — მან საქმე კარგად შეასრულა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემით გერმანია მსოფლიო თასს მოიგებდა. ამის თქმის საფუძველს განვლილი კარიერა მაძლევს. 1994 წელს „კარლსრუეში“ თამაშისას უეფას თასის ნახევარფინალში გავედი, ორი წლის შემდეგ კი ეს თასი „ბაიერნის“ შემადგენლობაში მოვიგე.

1999-ში ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერთან“ დავმარცხდით, მაგრამ 2001 წელს „ვალენსიას“ ვაჯობეთ.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიამ მოგვიგო და ლოგიკურად, 2006-ში კლინსმანს კარი ჩემთვის რომ ჩაებარებინა, უეჭველად ჩემპიონები გავხდებოდით. იურგენ კლინსმანს მუნდიალამდე სწორედ ეს ვუთხარი, მაგრამ მან ან არ გამიგო, ან ვერ გამიგო“.

ირაკლი ნინიძე

მარტის ტოტი



იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ აღნიშნა, რომ მარტში ფრანჩესკო ტოტის ისევ გამოიძახებს. როგორც იცით, „სკუადრა აძურას“ მეათე ნომერი მუნდიალის მერე უარს აცხადებს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე, ცოტა უნდა დავისვენო და მომავალ წელს დავბრუნდებიო.

„თუ იგი ასე თამაშს გააგრძელებს, როგორც ახლა თამაშობს, მარტში აუცილებლად გამოვიძახებ. ფრანჩესკო ახლა ჩინებულ ფორმაშია და ნაკრებს ძალიან გააძლიერებს. იმედია, იგი კვლავ უარზე არ იქნება. თუმცა თუ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა, ეს სხვა საქმეა. მაშინ უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთ. ყველა ფეხბურთელსა და იმ კლუბების მწვრთნელებს ველაპარაკები ხოლმე, რომლებშიც ისინი თამაშობენ. ამ მხრივ „რომას“ თავკაცი ლუჩანო სპალეტი დიდ დახმარებას მიწევს“ — განაცხადა დონადონიმ.

ახალგაზრდა სპეციალისტს ალესანდრო ნესტასა და ანტონიო კასანოს მომავალზეც ჰკითხეს: „ნესტას რთული პერიოდი ჰქონდა. იგი ტრავმებმა შეაწუხა და მთავარია, მალე ბოლომდე მომჯობინდეს. რაც შეეხება კასანოს, რეგულარულად უნდა ითამაშოს და ფორმა აღიდგინოს, რათა მის გამოძახებაზე ვიფიქრო“.

გიორგი კაკაბაძე

თავი აწიეთ, ახალი წელი მოსულა

იტალიური „რომას“ მმართველმა როზელა სენსიმ განაცხადა, რომ კლუბის ფეხბურთელებსა და ყველა წევრს შეუძლია, ახალ წელს თავაწეული შეხვდეს. მოგეხსენებათ, „გლადიატორებს“ სკუდეტოზე ხელი ჯერ არ ჩაუქნევიათ. ასევე იტალიის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში აგრძელებენ ბრძოლას.

„ბოლო წლებში სერიოზული, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოვაყალიბეთ, რის შედეგს ახლაც ვხედავთ. კლუბი ამ სეზონში მშვენივრად თამაშობს, რამდენიმე შეხვედრა კი სულაც საოცრად ჩავატარეთ. ეს „რომა“ ძალიან მომწონს, როგორც ხელმძღვანელს და ქომაგს. საერთოდ, ფეხბურთი ძალიან მიყვარს და მინდა, გუნდის ისტორიაში ჩემი სახელიც დარჩეს. არ მსურს, კალჩოპოლის სკანდალს გამოვეხმაურო, მაგრამ ფაქტია, ჩვენ ერთ-ერთნი ვართ, რომლებსაც შეგვიძლია, რომალებსა და მთელ იტალიას თვალებში შევხედოთ. ჩვენთვის მორალური მხარე და სუფთა თამაში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მადლობა თითოეულ ფანს, რომელიც გვერდში გვიდგას. შეგვიძლია ახალ წელს თავაწეულნი შევხვდეთ“ — განაცხადა სენსიმ.

დედაქალაქელთა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ კი ვინჩენცო მონტელას მომავალზე ისაუბრა და დაადასტურა, რომ ფეხბურთელს გუნდიდან წასვლა სურს. ეს იანვარში ალბათ მოხდება კიდეც, ვეტერან ფორვარდს რამდენიმე მსურველი ჰყავს ინგლისური „ფულემის“ თამადობით.

„შვიდი-რვა ფეხბურთელი მყავს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან იმით, რომ რეგულარულად თამაშის საშუალება არ ეძლევათ. ერთ-ერთი მათგანია მონტელაც. იგი ფიქრობს, რომ მისი სტილი ან კლასი არ მაკმაყოფილებს და ამიტომ არ ვათამაშებ, თუმცა მე ამას „რომას“ სასიკეთოდ და ტაქტიკური თვალსაზრისით ვაკეთებ. ძნელია, ყველა კმაყოფილი დარჩეს. ვინჩენცოს მაღალ დონეს არავინ უარყოფს. თუმცა იგი ფიზიკურად საუკეთესო კონდიციაში არ არის და ვერც ტაქტიკურ მონახაზში ჯდება ხოლმე. ამის გამო მას წასვლა სურს და მსურველებიც ჰყავს, მაგრამ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა“ — აღნიშნა სპალეტიმ.

კოკი კანდელაკი

ვინჩენცო მონტელა

ამერიკული „დისი იუნაიტედის“ მწვრთნელი პეტერ ნოვაკი გუნდიდან წავიდა. 42 წლის სპეციალისტი ეროვნულ ნაკრებში ბობ ბრედლის თანაშემწედ იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ ბრედლიმ ბრიუს არენა შეცვალა და დროებით უთავკაცებს ნაკრებს. წარმოშობით პოლონელმა ნოვაკმა 2004 წელს „დისი“ ქვეყნის ჩემპიონი გახადა.

ბოსნიის ნაკრების თავკაცად ფუად მუზუროვიჩი დანიშნეს. 60 წლის მუზუროვიჩი გუნდს 1992-1998 წლებშიც წვრთნიდა, ახლა კი მან ბლაჟ სლიშკოვიჩი შეცვალა, რომელიც ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს. სლიშკოვიჩის ხელში ბოსნიამ ევრო 2008-ის შესარჩევის ოთხ მატჩში ამდენივე ქულა მოაგროვა.

ავსტრიულმა „ზალცბურგმა“ იაპონელი ნახევარმცველი ალექსი „ურავა რედზიდან“ ერთი წლით ითხოვა, შემდგომში კონტრაქტის გაფორმების უფლებით. ბრაზილიაში დაბადებულ იაპონიის მოქალაქეს „ზალცბურგში“ თანანაკრებელი მიამოტო დახვდება, რომელიც ორი კვირის წინ გადავიდა „გამბა ოსაკიდან“ ავსტრიულ კლუბში.

ესპანური „ბეტისის“ თავკაცი შესაძლოა, ლუის ფერნანდესი გახდეს. შეგახსენებთ, რომ „ბეტისის“ მწვრთნელი ხავიერ ირურეტა იყო, მაგრამ „ხიმნასტიკთან“ სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ წავიდა, რადგან მოლოდინი ვერ გაამართლა. ლუის ფერნანდესს ადრეც უმუშავია ესპანეთში, სადაც „ბილბაოს“ და „ესპანიოლს“ წვრთნიდა.

იტალიური „ლეჩეს“ ჩეხი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი გაათავისუფლეს და მის ნაცვლად ჯუზეპე პაპადოპულო დანიშნეს, რომელსაც ოფიციალურად ზეგ წარუდგენენ მედიას. „ლეჩე“ სერია B-ში მეთორმეტე ადგილზეა.

არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი რამონ დიასი „სან ლორენსოს“ მწვრთნელად დანიშნეს. მან ოსკარ რუჯერი შეცვალა, რომელიც აპერტურას ბოლოს ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს. რუჯერის გუნდმა ჩემპიონატში მე-11 ადგილი დაიკავა და ორჯერ სამარცხვინოდ დამარცხდა. შინ „ბოკა ხუნიორსთან“ 1:7 წაგო და სტუმრად „რივერ პლეიტთან“ — 0:5. გულშემატკივრები მის მოხსნას ითხოვდნენ და მიიღეს კიდეც. ამბობენ, რომ მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის მონაწილე რამონ დიასი 1986 და 1990 წლების მუნდიალზე მარადონას ახირების გამო ვერ მოხვდაო. დიეგო დიასის გუნდში მიწვევის წინააღმდეგი ყოფილა.

სარბიელი: პროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		26 დეკემბერი						
17:00	1	ჩელსი-რედინგი	1.22	5.50	13.00	1.00	1.11	3.86
17:00	2	ჩელსი-რედინგი 0:1	1.50	3.50	3.90			
19:00	3	ბლექბერნი-ლივერპული	4.20	3.30	1.80	1.84	1.25	1.16
19:00	4	ბლექბერნი-ლივერპული 1:0	1.85	3.40	3.25			
19:00	5	ბოლტონი-ნიუკასლი	1.95	3.20	4.00	1.21	1.31	1.77
19:00	6	ევერტონი-მიდლსბრო	1.80	3.30	4.50	1.16	1.28	1.90
19:00	7	მანჩესტერი-უიგანი	1.22	5.70	11.00	1.00	1.09	3.75
19:00	8	მანჩესტერი-უიგანი 0:1	1.65	3.20	3.50			
19:00	9	შეფილდი-სიტი	2.25	3.30	2.90	1.33	1.26	1.54
17:00	10	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
17:00	11	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	2.35	3.20	2.85	1.35	1.28	1.50
21:30	12	უოტფორდი-არსენალი	7.00	4.00	1.45	2.54	1.20	1.06
		27 დეკემბერი						
23:45	14	ჩარლტონი-ფულემი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		26 დეკემბერი						
16:00	45	საუთჰემპტონი-კრ. პალასი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
17:00	46	კარდიფი-პლიმუთი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
19:00	47	ბარნსლი-ბარნლი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
19:00	48	ბირმინგემი-ქპრ	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
19:00	49	კოლჩესტერი-ლუტონი	1.75	3.40	4.30	1.15	1.24	1.89
19:00	50	ქოვენთრი-იფსვიჩი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
19:00	51	დერბი-ვულვერჰემპტონი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
19:00	52	ჰალი-ლესტერი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:00	53	ნორვიჩი-საუთენდი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
19:00	54	სტოკი-უენსდი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	55	სანდერლენდი-ლიდსი	1.70	3.40	4.60	1.13	1.24	1.95
19:00	56	ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
		ინგლისი. I ლიგა						
		26 დეკემბერი						
16:00	93	ბრენტფორდი-მილუოლი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
17:00	94	ბლეკპული-კარლაილი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
19:00	95	ბრედფორდი-დონკასტერი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:00	96	ბრაიტონი-იოვილი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	97	ბრისტოლი-ბორნმუთი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
19:00	98	ქრიუ-სუონსი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
19:00	99	ჯილინგემი-ლეიტონი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
19:00	100	ჰადერსფილდი-ტრანმერი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	101	ნორთჰემპტონი-ჩელტენემი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
19:00	102	ნოტინგემი-პორტ ვეილი	1.52	3.60	6.00	1.06	1.21	2.25
19:00	103	როტერჰემი-ოლდემი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:00	104	სანთორპი-ჩესტერფილდი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
		ინგლისი. II ლიგა						
		26 დეკემბერი						
16:00	153	როჩდეილი-რექსემი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
16:30	154	ჰერეფორდი-როვერსი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
17:00	155	ბარნეტი-პიტერბრო	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38
19:00	156	აკრინგტონი-ბერი	2.60	3.20	2.50	1.43	1.27	1.40
19:00	157	ჩესტერი-მაკლსფილდი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
19:00	158	დარლინგტონი-მენსფილდი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
19:00	159	ჰარტლპული-გრიმსბი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
19:00	160	ლინკოლნი-ბოსტონი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
19:00	161	სტოკპორტი-ნოტსი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
19:00	162	სუინდონი-უიკომბი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	163	ტორკი-დონსი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
19:00	164	უოლსოლი-შრიუსბერი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		ინგლისი. კონფერენსი						
		26 დეკემბერი						
19:00	213	ალდერშოტი-ფორესტ გრინი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	214	ალტრინჩემი-ნორთვიჩი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	215	კემბრიჯი-რაშდენი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
19:00	216	დაგ ენდ რედი-გრეისი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
17:00	217	გრეივსენდი-ქროული	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	218	ოქსფორდი-უოკინგი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
19:00	219	საუთპორტი-მორიკომბი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
17:00	220	სტ.ალბანსი-სტივენეიჯი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
19:00	221	სტ.რეინჯერსი-კიდერმინსტერი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
16:30	222	ტემუორთი-ბარტონი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
17:00	223	ვეიმუთი-ექსეტერი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		26 დეკემბერი						
18:00	260	ჰართსი-ჰიბერნიანი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	261	აბერდინი-კილმარნოკი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
19:00	262	სელტიკი-დანდი იუნაიტედი	1.15	6.00	15.00	1.00	1.06	4.28
19:00	263	დანფერმლაინი-მოზერუელი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:00	264	სტ.მირენი-ფოლკირკი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
		27 დეკემბერი						
23:45	265	ინვერნესი-რეინჯერსი	6.20	3.70	1.50	2.31	1.20	1.06
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		26 დეკემბერი						
18:00	284	სტ.ჯონსტონი-კლაიდი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
19:00	285	ერდრი-როსი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
19:00	286	დანდი-პარტიკი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		6 იანვარი						
21:00	394	ლორკა-ჰერკულესი	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
21:00	395	მალაგა -ალმერია	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
21:00	401	ვეკინდარიო-ტენერიფე	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
21:00	402	სერესი-ალბასეტე	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
		7 იანვარი						
21:00	392	სიუდადი-სპორტინგი	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
21:00	393	ელჩე-კადისი	2.35	2.90	3.00	1.29	1.31	1.47
21:00	396	ეხიდო-ნუმანსია	2.25	2.80	3.20	1.24	1.32	1.49
21:00	397	პონფერადინა-კასტელონი	2.50	2.80	2.80	1.32	1.32	1.39
21:00	398	რეალი(ბ)-მურსია	2.20	2.90	3.10	1.25	1.28	1.49
21:00	399	სალამანკა-ლას პალმასი	1.65	3.20	5.20	1.08	1.25	1.98
21:00	400	ვალიადოლიდი-ალავესი	1.60	3.20	5.70	1.06	1.24	2.04
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		26 დეკემბერი						
15:30	434	ფეიენოორდი-პსვ	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
17:30	435	ტილბურგი-ექსელსიორი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
19:30	436	გრონინგენი-სპარტა	1.45	3.60	7.50	1.03	1.21	2.43
		27 დეკემბერი						
23:00	437	დენ ჰააგი-ვალვაიკი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
23:00	438	ბრედა-ვიტესი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
23:00	439	ნაიმეგენი-ჰერენვენი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
23:00	440	ტვენტე-ალკმაარი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
23:00	441	უტრეხტი-ჰერაკლესი	1.42	3.80	7.00	1.03	1.18	2.46
23:00	442	აიაქსი-როდა	1.25	4.80	9.50	1.00	1.10	3.18
		საბერძნეთი						
		6 იანვარი						
19:00	480	ოფი-ატრომიტოსი	2.05	2.90	3.75	1.20	1.32	1.63
21:00	481	პაოკ-აეკ	2.65	2.90	2.60	1.38	1.31	1.37
		7 იანვარი						
17:00	482	იონიკოსი-ერგოტელისი	2.10	2.90	3.60	1.21	1.32	1.60
17:00	483	კალამარია-კერკირა	2.05	2.90	3.80	1.20	1.33	1.64
19:00	484	პანიონიოსი-ირაკლისი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
19:00	485	ქსანთი-ოლიმპიაკოსი	4.20	3.20	1.80	1.81	1.25	1.15
21:00	486	არისი-ოლიმპია	1.80	3.10	4.50	1.13	1.28	1.83

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	487	პანათინაიოსი-ეგალეო	1.15	6.30	14.00	1.00	1.06	4.34
		ფეხბურთი						
		საერთაშორისო ტურნირი.ტაილანდი						
		26 დეკემბერი						
13:30	978	ეახახეთი-ვიეტნამი	1.35	4.40	6.30	1.03	1.11	2.59
15:30	981	ტაილანდი-სინგაპური	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
		ჰოკეი.NHL						
		26 დეკემბერი						
23:45	600	ბუფალო-ვაშინგტონი	1.55	4.30	3.00	1.13	1.02	1.76
23:45	601	ჩიკაგო-დალასი	2.35	4.20	1.90	1.50	1.05	1.30
23:45	602	ატლანტა-ტამპა ბეი	1.70	4.30	2.50	1.21	1.01	1.58
23:45	603	კაროლინა-ფლორიდა	1.55	4.30	3.00	1.13	1.02	1.76
23:45	604	კოლამბუსი-ბოსტონი	1.90	4.30	2.20	1.31	1.01	1.45
23:45	605	აილენდერსი-რეინჯერსი	2.00	4.20	2.20	1.35	1.04	1.44
23:45	606	ნიუ ჯერსი-პიტსბურგი	1.65	4.30	2.80	1.19	1.03	1.69
23:45	607	ტორონტო-მინესოტა	1.75	4.30	2.40	1.24	1.01	1.54
23:45	608	ნეშვილი-სტ.ლუისი	1.45	4.40	3.30	1.09	1.00	1.88
23:45	609	კალგარი-ვანკუვერი	1.55	4.30	3.00	1.13	1.02	1.76
23:45	610	სან ხოსე-ანაჰაიმი	2.00	4.20	2.20	1.35	1.04	1.44
23:45	611	ლოს ანჯელესი-ფენიქსი	1.75	4.30	2.40	1.24	1.01	1.54
		ჰოკეი. შვედეთი						
		27 დეკემბერი						
22:00	664	ჰვ 71-ლინჩიოპინგი	1.75	4.20	3.00	1.23	1.10	1.75
22:00	665	ფერიესტადი-მალმიო	1.35	4.40	5.00	1.03	1.06	2.34
22:00	666	ფრიოლუნდა-მოდო	2.00	4.00	2.40	1.33	1.09	1.50
22:00	667	იურგორდენი-ლულეო	2.05	4.00	2.30	1.35	1.08	1.46
22:00	668	ტიმრე-ბრიუნესი	1.85	4.00	2.50	1.26	1.06	1.53
		ჰოკეი. ფინეთი						
		28 დეკემბერი						
20:30	686	ჰელსინკი-იოკერიტი	2.30	4.20	2.15	1.48	1.11	1.42
20:30	687	ილვესი-ტაპარა	2.80	4.20	1.85	1.67	1.11	1.28
20:30	688	კერპეტი-ჰაამეენლინა	1.65	4.20	3.30	1.18	1.10	1.84
20:30	689	ტურკუ-სეიპა	1.45	4.30	4.50	1.08	1.09	2.10
20:30	690	იუვესკიულე-კალპა	1.50	4.40	3.80	1.11	1.07	2.03
20:30	691	ლუკო-ესეტი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.94
20:30	692	პელიკანსი-ესპოო	2.20	4.00	2.30	1.41	1.12	1.46
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		27 დეკემბერი						
20:00	709	ტრუინეცი-კლადნო	1.80	4.20	3.00	1.25	1.12	1.75
20:00	710	ვსეტინი-ლიტვინოვი	3.00	4.20	1.80	1.75	1.12	1.25
20:30	711	ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე	1.60	4.30	3.50	1.16	1.09	1.92
21:00	712	სპარტა-პლზენი	1.45	4.50	4.00	1.09	1.06	2.11
21:00	713	კარლოვი ვარი-ზლინი	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47
21:30	714	ლიბერეცი-პარდუბიცე	1.80	4.20	2.80	1.25	1.09	1.67
22:00	715	სლავია-ზნოიმო	1.60	4.30	3.70	1.16	1.11	1.98
		ჰოკეი. გერმანია						
		26 დეკემბერი						
17:30	738	ჰამბურგი-ჰანოვერი	2.10	4.20	2.25	1.39	1.08	1.46
20:00	739	კიოლნი-ფრანკფურტი	1.70	4.30	3.00	1.21	1.08	1.76
21:30	740	აუგსბურგი-ინგოლშტადი	2.70	4.30	1.80	1.65	1.08	1.26
21:30	741	სტრაუბინგი-დიუსელდორფი	2.80	4.30	1.75	1.69	1.07	1.24
21:30	742	კრეფელდი-მანჰაიმი	2.20	4.20	2.05	1.44	1.06	1.37
21:30	743	დუისბურგი-იხერლონი	2.15	4.20	2.10	1.42	1.06	1.39
		ჰოკეი. რუსეთი						
		26 დეკემბერი						
15:00	784	მაგნიტოგორსკი-ვიტიაზი	1.20	5.00	6.50	1.00	1.01	2.82
15:00	785	ტრაქტორი-ცსკა	2.60	4.50	1.75	1.64	1.04	1.25
15:00	786	ლოკომოტივი-დინამო	1.65	4.50	3.00	1.20	1.06	1.79
		ჰოკეი.მსოფლიო ჩემპიონატი(20) შვედეთი						
		26 დეკემბერი						
18:00	982	აშშ(20)-გერმანია(20)	1.04	6.00	12.00	1.00	1.00	4.00
18:00	983	ფინეთი(20)-ბელარუსი(20)	1.10	5.00	10.00	1.00	1.00	3.33
18:00	984	შვედეთი(20)-კანადა(20)	2.65	4.30	1.70	1.63	1.03	1.21
21:00	985	რუსეთი(20)-ჩეხეთი(20)	1.55	4.30	3.30	1.13	1.05	1.86

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	ჩელსი-რედინგი	1.42	3.00	13.00	1.00	1.28	2.43
10003	ბლექბერნი-ლივერპული	4.80	2.10	2.25	1.46	1.53	1.08
10005	ბოლტონი-ნიუკასლი	2.35	2.10	4.40	1.10	1.53	1.42
10006	ევერტონი-მიდლსბრო	2.25	2.10	5.00	1.08	1.55	1.47
10007	მანჩესტერი-უიგანი	1.45	3.00	11.00	1.00	1.28	2.35
10009	შეფილდი-სიტი	2.65	2.00	3.70	1.13	1.54	1.29
10010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	2.30	2.10	4.80	1.09	1.55	1.46
10011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	2.85	2.00	3.35	1.17	1.53	1.25
10012	უოტფორდი-არსენალი	6.50	2.30	1.85	1.69	1.44	1.02
10014	ჩარლტონი-ფულემი	2.80	2.00	3.25	1.16	1.50	1.23

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11003	ბლექბერნი-ლივერპული	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.70
11005	ბოლტონი-ნიუკასლი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11006	ევერტონი-მიდლსბრო	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11009	შეფილდი-სიტი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11012	უოტფორდი-არსენალი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.90
11014	ჩარლტონი-ფულემი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ
12001	ჩელსი-რედინგი	1.90	1.70
12003	ბლექბერნი-ლივერპული	1.60	2.00
12005	ბოლტონი-ნიუკასლი	1.60	2.00
12006	ევერტონი-მიდლსბრო	1.55	2.10
12007	მანჩესტერი-უიგანი	2.00	1.60
12009	შეფილდი-სიტი	1.55	2.10
12010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.60	2.00
12011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	1.60	2.00
12012	უოტფორდი-არსენალი	1.70	1.90
12014	ჩარლტონი-ფულემი	1.55	2.10

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13001	ჩელსი-რედინგი	2.30	1.50
13003	ბლექბერნი-ლივერპული	1.70	1.90
13005	ბოლტონი-ნიუკასლი	1.70	1.90
13006	ევერტონი-მიდლსბრო	1.90	1.70
13007	მანჩესტერი-უიგანი	2.00	1.60
13009	შეფილდი-სიტი	1.70	1.90
13010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.70	1.90
13011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	1.70	1.90
13012	უოტფორდი-არსენალი	1.70	1.90
13014	ჩარლტონი-ფულემი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი დაგებულად ჩაითვლება)

14001	ჩელსი-რედინგი	1.04	2.90
14003	ბლექბერნი-ლივერპული	2.30	1.60
14005	ბოლტონი-ნიუკასლი	1.65	2.20
14006	ევერტონი-მიდლსბრო	1.60	2.30
14007	მანჩესტერი-უიგანი	1.03	2.90
14009	შეფილდი-სიტი	1.80	2.00
14010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.60	2.30
14011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	1.80	2.00
14012	უოტფორდი-არსენალი	2.60	1.20
14014	ჩარლტონი-ფულემი	1.80	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ჩელსი-რედინგი	3.00	2.80	2.00
15003	ბლექბერნი-ლივერპული	3.00	2.80	2.00
15005	ბოლტონი-ნიუკასლი	3.00	2.80	2.00
15006	ევერტონი-მიდლსბრო	3.00	2.80	2.00
15007	მანჩესტერი-უიგანი	3.00	2.80	2.00
15009	შეფილდი-სიტი	3.00	2.80	2.00
15010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	3.00	2.80	2.00
15011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15012	უოტფორდი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15014	ჩარლტონი-ფულემი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16003	ბლექბერნი-ლივერპული	3.00	1.30
16005	ბოლტონი-ნიუკასლი	1.35	2.70
16006	ევერტონი-მიდლსბრო	1.25	3.30
16009	შეფილდი-სიტი	1.57	2.20
16010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.25	3.30
16011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	1.60	2.10
16012	უოტფორდი-არსენალი	5.00	1.10
16014	ჩარლტონი-ფულემი	1.70	1.90

გოლი:ყვავილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვავილად)

17001	ჩელსი-რედინგი	1.85	1.95
17003	ბლექბერნი-ლივერპული	1.85	1.95
17005	ბოლტონი-ნიუკასლი	1.85	1.95
17006	ევერტონი-მიდლსბრო	1.85	1.95
17007	მანჩესტერი-უიგანი	1.85	1.95
17009	შეფილდი-სიტი	1.85	1.95
17010	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.85	1.95
17011	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	1.85	1.95
17012	უოტფორდი-არსენალი	1.85	1.95
17014	ჩარლტონი-ფულემი	1.85	1.95

ქართული ლეგიონი

ელისის გაელვება და ფაჩულიას იდაყვი

კათოლიკური შობისწინა რიარიამ, ისევე როგორც სპორტის სხვა საწეობებზე, კალათბურთზეც იმოქმედა და რამდენიმე ქვეყანაში ტური არ შედგა. ეს უპირველესად ეხება იტალიას, საფრანგეთსა და ევროპის სხვა კათოლიკურ ქვეყნებს, თორემ ნბა-ში ეს შაბათი-კვირა ისეთივე დახუნძლული იყო თამაშებით, როგორც ყოველთვის.

თუმცა ევროპაში მობურთალებს შუა კვირაში მაინც მოუწიათ ბურთაობამ — ევროტურნირებზე წლეულს ბოლო ტურები გაიმართა. ევროლიგაში თავი გამოიჩინა საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა ტაისონ ელისმა, რომელმაც ევროპაში სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და იტალიურ „ნაპოლიში" ლიდერის სახელს იმკვიდრებს.

ნეაპოლელები მეცხრე ტურში შინ „ჟალგირისს" მასპინძლობდნენ და დაძაბულ ბრძოლაში 92:87 დაამარცხეს. ელისმა 32 წუთი ითამაშა და 18 ქულით ბომბარდირი გახდა. ეს მონაგარი 8 შედეგიან გადაცემასთან ერთად პირადსარეკორდო იყო ელისისთვის „ნაპოლიში". თან ტაისონმა 4 მოხსნაც გაჩარხა და ლიტველების დამარცხებაში ლომის წილი დაიდო.

ამ გამარჯვებით ნეაპოლელები მიუახლოვდნენ იმ გუნდებს, რომლებიც მომდევნო ეტაპზე გასასვლელად იბრძვიან. ასეთია საქართველოს ნაკრების მწვრთნელ გორდონ ჰერბერტის „პო ორტეზი", რომელმაც ამ ტურში „ფენერბაჰჩე" მიანგრია და D ჯგუფის მეოთხე ადგილზე გამაგრდა. შეგახსენებთ, რომ ყოველი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 5-5 გუნდი გადის.

ევროლიგის C ჯგუფიდან გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგა მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ", რომელმაც გასულ ტურში სტუმრად „რომასთან" წააგო და დარჩენილ მატჩებში ძნელად სავარაუდოა, რომ ცხრილის ბოლოდან გამსვლელ ზონაში მოახერხოს შეძრომა.

მარკოიშვილი რომში ვერაფრით ვერ დაეხმარა ლიუბლიანელებს, აი, ადრიატიკის ლიგაში კი მან 10 ქულა მიაშველა „ოლიმპის", მაგრამ ის მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი — სლოვენიურმა გუნდმა ჩერნიგორიაში „ბუდუჩნოსტთან" 67:74 წააგო.

თუ „ოლიმპია" ჯგუფში დასარჩენად გაიწირა, ეს პრობლემა უკვე გადაჭრა ულებ-ის თასზე მოთამაშე ვლადიმერ ბოისას „სიენამ". სამწუხარო ისაა, რომ ვოვამ შედეგიანად ვერ ითამაშა, შეტევაში, ოორემ მოსკოვური „ხიმკი" [illegible] ჩაშლაში თავი [illegible] „სიენამ" 74:66 სძლია რუსულ გუნდს და მეორე ჯგუფურ ეტაპზე ნაადრევად გავიდა.

ერთგვარი ქართული დერბი შედგა ბალტიის ლიგაში, საღაც ვიორგი ცინცაძის „როკი" ტატო ვაშაკიძის „ნევეჟისს" შეხვდა და დამარცხდა. ცინცაძე 7 შედეგიანი გადაცემით მატჩის მთავარი მეპასე გახდა, 9 ქულა და 3 მოხსნაც მიითვალა, მაგრამ „როკერები" სტუმრად მაინც დამარცხდნენ. „როკს" პლეიოფში გასვლის შანსი აღარ აქვს და ალბათ ამიტომაც არ შეაკლეს თავი აუტსაიდერ „ნევეჟისს".

ამერიკიდან კი ცუდი ამბავი მოვიდა — ზაზა ფაჩულიამ პარასკევს „ინდიანასთან" მატჩში იდაყვი იტკინა და მომდევნო მატჩი „დეტროიტთან" გამოტოვა. საგანგაშო არაფერია, ზაზა უახლოეს დღეებში მწყობრში იქნება. „ინდიანასთან" კი, [illegible]ნამ ტრავმას მიიღებდა, ფაჩულიამ ორმაგი დუბლის გაკეთება მოასწრო — 10 ქულა და 14 მოხსნა არაა ვაი-უშველებელი, მაგრამ არც ურიგო შედეგია.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
გიორგი ცინცაძე	როკი	ბალტიის ლიგა	ნევეჟისი	ს	90:98	30	9	3	7
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ევროლიგა ადრიატიკის ლიგა	რომა ბუდუჩნოსტი	ს ს	74:84 67:74	19 24	0 10	3 1	0 1
ვლადიმერ ბოისა	სიენა	ულების თასი	ხიმკი	შ	74:66	17	3	1	0
ვიქტორ სანიკიძე	ესტუდიანტესი	ესპანეთის ჩემპიონატი	კანარია	შ	87:89	არ უთამაშია			
ტატო ვაშაკიძე	ნევეჟისი	ბალტიის ლიგა	როკი	შ	98:90	2	2	1	0
ტაირონ ელისი	ნაპოლი	ევროლიგა	ჟალგირისი	შ	92:87	32	18	4	8
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA რეგ. ჩემპ.	ინდიანა იუტა	შ შ	90:100 106:112	31 23	10 9	14 5	2 3

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი

სტატისტიკური ფილოსოფია გაფრთხილებთ:

უხვქულიანობა მავნებელია

გუნდის ჯანმრთელობისთვის

კარმელო ენტონი (დენვერი), ალენ აივერსონი (დენვერი)... ამხელა ლიგის ორი უძლიერესი ბომბარდირი ერთ გუნდში?!

ორი დენვერელი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა საუკეთესო მექულეთა კენწეროში. უბრალოდ, აივერსონი აქამდე სულ სხვაგან, „ფილადელფიაში" თამაშობდა და ახლახან გადავიდა „დენვერში", რომელსაც უკვე ორი 30-ქულიანი მოთამაშე ჰყავს.

მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს დროებითი მოვლენაა — ან ერთის შედეგიანობა მოიკლებს და ან მეორის. არც ისაა გამორიცხული, ორივეს უხვქულიანობა ერთდროულად დაეცეს და რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს სულ სხვას დარჩეს ბომბარდირის ტიტული, მაგალითად, ვაშინგტონელ ჯილბერტ არენასს, რომელმაც უხეიროდ კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ ლამის საახალწლო ფეიერვერკი მოაწყო, 60 და 54-ქულიანი სპექტაკლები ჩაატარა და 30-იანელთა „სექტაშიც" ჩაეწერა. არენასს სულ არ აინტერესებს, „დენვერში" აღმოჩენილი სუპერმექულე და 4-გზის ბომბარდირი აივერსონი როგორ გაიყოფს ბურთს იქ დახვედრილ ახალგაზრდა ვარსკვლავ ენტონისთან, რომელიც ახლა იძულებით შვებულებაში კია — 15-მატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის ნიუიორკელებთან ხელჩართული ჩხუბის გამო — მაგრამ რომ დაბრუნდება, ბურთს აუცილებლად მოითხოვს და თუ აივერსონმა მიცემა არ ისურვა...





ალენ აივერსონს და კარმელო ენტონს მხოლოდ სახეები და სახელები აქვთ სხვადასხვა

ბომბარდირთა სიაში მოკრძალებული ადგილები უკავიათ წინა რეგულარული ჩემპიონატის პირველ და მესამე მექულეებს — კობი ბრაიანტსა და ლებრონ ჯეიმსს. წინა სეზონში კობი ამ ეპოქისთვის არანორმალურად ბევრ ქულას იხვეჭდა — საშუალოდ 35-ზე მეტს, ლებრონის შედეგიანობა კი 31 ქულას აჭარბებდა. ამ მეორის დაღმასვლის მიზეზებზე ნუ შევჩერდებით, აი, ბრაიანტს კი აშკარად ტრავმამ შეუშალა ხელი, მაგრამ „ლეიკერსის" სუპერვარსკვლავი და დღევანდელი სახე თანდათან მაღლა მიიწევს და იქნებ ისიც ჩაირიცხოს 30-იანელებში. ასე რომ, დამაინტიგებელ კითხვაზე — ვინ გახდება სეზონის საუკეთესო ბომბარდირი — პასუხის მოცემას ალბათ ჯერ ვერავინ გაბედავს.

ისე, ფილოსოფიური განსჯებისკენ მიდრეკილი სტატისტიკოსები კვლავაც დასვამენ მარადიულ კითხვას — კარგია თუ არა გუნდისთვის, რომ მისი მოთამაშე ძალიან ბევრ ქულას იხვეჭს? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ისტორიასაც კი უჭირს. მაგალითად, ნბა-ის 7-გზის საუკეთესო ბომბარდირი უილტ ჩემბერლენი მხოლოდ ორჯერ გახდა ჩემპიონი და ისიც იმ წლებში, როცა ქულების გროვებას უკლო და წინ სხვა გაუშვა. მეორე მაგალითი კი საპირისპიროს მეტყველებს — 10-გზის ბომბარდირი მაიკლ ჯორდანი 6-ჯერ გახდა ჩემპიონი და ექვსჯერვე მაშინ, როცა ქულების კეთებაში ვერავინ ჯობდა.

დღეს რა ხდება ამ მხრივ? სადღეისოდ 5 ყველაზე წარმატებული გუნდის („სან ანტონიო, „დალასი", „ფინიქსი", „იუტა", „დეტროიტი") არც ერთი მოთამაშე 10 საუკეთესო მექულეს შორის არ არის, ანუ იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი უფრო გუნდურ კალათბურთს თამაშობენ, ვიდრე სხვები და წარმატებებიც აქედან მოდის.

„სან ანტონიოს" არც ერთი მოთამაშე არ ლიდერობს ლიგას რაიმე სტატისტიკურ მაჩვენებელში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ გუნდს ვარსკვლავები არ ჰყავს. უბრალოდ, ტიმ დანკანი, ტონი პარკერი და მანუ ჯინობილი გუნდურ წარმატებაზე უფრო არიან მომართულები, ვიდრე პირად სტატისტიკაზე. დანკანი 20,4 ქულით ბომბარდირებში მხოლოდ 21-ეა, 9,9 მოხსნით კი მე-11, მაშინ, როდესაც თავისუფლად შეუძლია, ლიდერებს შეუამხანაგდეს.

არის ერთი კომპონენტიც, რომლის უხვად დაგროვებაც არანაირ ზიანს არ მოუტანს გუნდს, პირიქით, უკეთესი იქნება. ესაა პასი და თანამედროვეობის საუკეთესო მეპასე სტივ ნეშიც ორი წელია, ამიტომ ხდება სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, მისი „ფინიქსი" კი ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალური კანდიდატია. 32 წლის ნეში თავისი სპორტული ფორმის პიკზეა, 11,6 პასით უდიდესი უპირატესობით ლიდერობს საუკეთესო მეპასეთა სიას (ზედიზედ მესამე სეზონში) და ამასთან ქულებსაც ბლომად იხვეჭს — 20,3 ქულით 22-ეა მექულეებში და დიდი შანსია, ზედიზედ მესამედ გახდეს სეზონის უძვირფასესი მოთამაშე. ასეთი რამ კი ლარი ბერდის შემდეგ (1984-86) არავის მოუხერხებია.

ირაკლი ფირაზვილი

ლიგის ლიდერები

ქულები

1 კარმელო ენტონი (დენვერი)	31,6
2 ალენ აივერსონი (დენვერი)	30,6
3 ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი)	30,1
4 დუეინ ვეიდი (მაიამი)	28,1
5 მაიკლ რედი (მილუოკი)	27,9
6 კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)	27,8
7 ჯო ჯონსონი (ატლანტა)	27,7
8 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)	27,0
9 პოლ პირსი (ბოსტონი)	26,6
10 ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი)	26,3
11 იაო მინი (ჰიუსტონი)	25,9
12 რეი ალენი (სიეტლი)	25,4
13 ზაკ რენდოლფი (პორტლენდი)	25,1
14 დირკ ნოვიცკი (დალასი)	23,3
15 კევინ გარნეტი (მინესოტა)	22,1
16 რაშარდ ლუისი (სიეტლი)	21,9
17 კარლოს ბუზერი (იუტა)	21,9
18 კევინ მარტინი (საკრამენტო)	21,9
19 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი)	21,3
20 რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი)	20,9

მოხსნები

1 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)	12,7
2 კევინ გარნეტი (მინესოტა)	12,2
3 კარლოს ბუზერი (იუტა)	11,9
4ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი)	11,6
5 მარკუს კემბი (დენვერი)	11,0
6 ემეკა ოკაფორი (შარლოტი)	10,9
7 დევიდ ლი (ნიუ იორკი)	10,3
8 ბენ ვოლესი (ჩიკაგო)	10,2
9 ჯერიენ ონილი (ინდიანა)	10,2
10 ზაკ რენდოლფი (პორტლენდი)	10,1

პასები

1 სტივ ნეში (ფინიქსი)	11,6
2 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი)	9,6
3 ანდრე მილერი (ფილადელფია)	9,2
4 კრის პოლი (ნიუ ორლეანი)	9,0
5 დერონ უილიამსი (იუტა)	8,7
6 თიჯეი ფორდი (ტორონტო)	8,3
7 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი)	8,3
8 ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი)	8,2
9 დუეინ ვეიდი (მაიამი)	8,0
10 ალენ აივერსონი (დენვერი)	7,4

გრიქუროვმა პოლონეთში ძველი ასანიძე ნახა

თუ ჰეკინი გვინდა, თბილისი უნდა დავიცალოთ

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების თავკაცი ვანო გრიქუროვი მეორე თვეა, პოლონეთშია, ნაკრების ოლიმპიურ ლიდერ არსენ კასაბიევთან ერთად. დეკემბრის დასაწყისში მათ თბილისიდან გრიქუროვის გუნდის კიდევ ორმა წევრმა, მსუბუქწონოსანმა ზვიად სამუკაშვილმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა გიორგი ასანიძემაც ჩააკითხეს და ქალაქ ჩეხანოში შეკრება გახურდა, თუმცა ისე მოხდა, მას სამეულიდან მხოლოდ ერთი ასრულებს, ორი კი ახალ სეზონს ტრავმისშემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდით ხვდება. პოლონურ შეკრებასა და ნაკრების პერსპექტივაზე სასაუბროდ ვანო გრიქუროვს გუშინ შევეხმიანეთ

გურამ ფოფხაძის ფოტო

— **შეკრებით ძალიან კმაყოფილი ვარ. მართალია, მხოლოდ გიორგი ასანიძეს ვავარჯიშებ, მაგრამ თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ იგი სპორტს სერიოზულად უბრუნდება, კმაყოფილების საბაბს იძლევა.**

— **უკვე სრული დიტვირთვით ვარჯიშობს?**

— დატვირთვებზე საუბარი ჯერ ადრეა. მთავარია, რომ ძველ ტალღაზე გადმოვიდეს ისევ შეძლო და ისეთივე შემართული და მონდომებულია, როგორიც წლების წინ. მოგეხსენებათ, ორი წელი გაუცდა და ძველ ფორმაში ჩასადგომად დრო დასჭირდება, მაგრამ ერთ სასიამოვნო საიდუმლოს გაგიმხელთ — საღღეისოდ გიორგი აშკარად უკეთესად გამოიყურება, ვიდრე 2004 წლის იანვარში, ათენის ოლიმპიადის მოსამზადებელი ციკლის საწყის ეტაპზე. როგორც ჩანს, დასვენებამ მასზე დადებითად იმოქმედა.

— **შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატია. მასზე გიორგი ასანიძეს ოქროს მედლისთვის ბრძოლა რეალურად შეეძლება?**

— მოდით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ. მსოფლიოს ჩემპიონატი უდიდესი ტურნირია და მის ოქროს ფასზე საუბარი ზედმეტიცაა, მაგრამ მომავალ მსოფლიოს პირველობას პირადად ჩემთვისაც და საერთოდ ქართული ძალოსნობისთვისაც სულ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დატვართა აქვს. მოგეხსენებათ, მასზე გუნდური შედეგით ჰეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გაიცემა. ასე რომ, ნაკრების თითოეულმა ძალოსანმა ერთობლივ შედეგზე უნდა იფიქროს. რა თქმა უნდა, შეგვიძლია, გათვლა ასანიძის ოქროზე გავაკეთოთ და მალევე მოვუმატოთ დატვირთვებს, მაგრამ ეს ერთობ სარისკო საქმეა. ჯობს, ნელი ტემპით გავყვეთ და წარმატებამდეც გეგმაზომიერი მუშაობით მივიდეთ.

— **ზვიად სამუკაშვილი და არსენ კასაბიევიც პოლონეთში არიან. პირველზე ვიცით, რომ ტრავმა აქვს. მეორე რატომ არ ვარჯიშობს?**

— ორივემ ოპერაცია გაიკეთა. დაახლოებით თებერვლამდე მოუწევთ დასვენება. არსენისთვის ხერხემლის ოპერაცია აქაურმა პროფესორმა აუცილებლად არ ჩათვალა და მოცდა გვირჩია. ვარჯიში განვაახლეთ, მაგრამ იქვე მუხლზე დასჭირდა ქირურგიული ჩარევა. ზვიადი კი, როგორც იცით, თბილისიდან მზა დიაგნოზით ჩამოვიდა და 13 დეკემბერს საოპერაციო მაგიდაზეც დაწვა. მისი ტრავმა ბევრად მძიმე გამოდგა, ვიდრე გვეგონა. სამი წლის წინ დაზიანებული მხარი ბოლომდე ვერაფრით მოირჩინა. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ისე გაირთულა, მას შემდეგ აღარც უვარჯიშია. ეს ბიჭები ნაკრების ბირთვს შეადგენენ და შემოდგომამდე სასურველ ფორმას აუცილებლად უნდა მიაღწიონ.

— **თბილისში როდის ბრუნდებით?**

— შეკრებას ხვალ დავასრულებთ. ასანიძე და სამუკაშვილი ზეგ წამოვლენ, მე კი კასაბიევს დაველოდები. არსენმა ერთწლიანი ვიზა აიღო და რაღაც საბუთს ელოდება. როგორც კი ეს ფორმალობა მოგვარდება, მაშინვე გამოვემგზავრებით. მინდა, რაც შეიძლება, ძალე ჩამოვიდე თბილისში, რათა ასანიძეს აღებული ტემპის შენარჩუნებაში დავეხმარო. აქედანვე ვიცი, რომ ძალიან ძნელი იქნება, რადგან საქართველოში გიორგის სპორტს მიღმაც უამრავი საქმე გამოუჩნდება, მაგრამ თუ გვინდა სერიოზულ წარმატებებზე ფიქრი ისევ შევძლოთ, ყველა წინაღობა უნდა დავძლიოთ.

— **გიორგიმ თავად გვითხრა, რომ იანვრიდან ისევ პოლონურ შეკრებას გეგმავთ...**

— ეს მართლაც საუკეთესო ვარიანტი იქნება. თუ გვინდა, რომ გიორგი ასანიძე ჰეკინის ოლიმპიადისთვის კარგად მოემზადოს, თბილისს უნდა მოვწყვიტოთ, მაგრამ ჯერ დარწმუნებით არაფრის იქმა არ შემიძლია. მეც ნაახალწლევს გავიგებ, რა როგორ იქნება. იანვრის დასაწყისში ახალი ბიუჯეტი შედგება და ჩვენს შესაძლებლობებს მერე გადავხედავთ.

ოთარ მაღლაკელიძე

ერთიანული გუნდი აქაურ-იქაურთა იმედით

ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს ნაკრები ევროპის მე-8 ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას აგრძელებს.

კვირას კუს ტბაზე კროსის შემდეგ, გუშინ ბიჭებმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ჩვეული დატვირთვა მიიღეს — დილით ჯერ საერთო ფიზიკურ მომზადებაში ივარჯიშეს მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტის ნელი გრიგალაშვილის ხელმძღვანელობით, მერე კი ორჯერ ბურთით „იმუშავეს“.

მოთამაშეები ხალისით ასრულებდნენ მწვრთნელების დავალებებს, თანაც ყოველი ეფექტური და შედეგიანი კომბინაციის შემდეგ ერთმანეთს ტაშითაც ამხნევებდნენ. როგორც ყოველთვის, გამორჩეულად ენაკვიმატობდა ვეტერანი *ალექსანდრე ბოყოჩაძე*. 33 წლის ფორვარდი ყველაზე ასაკოვანი და გამოცდილია გუნდში:

სერგეი კირილოვი დღეს ქართულ პასპორტს მიიღებს

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

— **ალეკო, შენთვის ეს მერამდენე ევროჩემპიონატი იქნება?**

— უკვე მეექვსე. ერთხელ ჩვენმა ნაკრებმა გამოტოვა კონტინენტის პირველობა, ერთხელაც მე არ ვყოფილვარ გუნდში.

— **როგორ ფიქრობ, სამ იანვარს რიგაში მატჩი რა შედეგით დამთავრდება?**

— ჩემი აზრით, შანსები თანაბარია და ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი. ჩვენი გუნდის წამყვანი მოთამაშეები სერგო დათუკაშვილი და ტიტე კალანდაძე რომ ყოფილიყვნენ, ლატვიელებს ნაღდად მოვუგებდით. მით უმეტეს, ისინი ორჯერ გვყავს დამარცხებული, მათ შორის რიგაშიც.

— **გავა საქართველოს ნაკრები პლეი ოფში?**

— ისევ იმავე მიზეზის გამო, გადაჭრით ვერაფერს გეტყვი. სერგო და ტიტე რომ ყოფილიყვნენ, პრობლემა არ გვექნებოდა. ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული რიგაში სასტარტო მატჩის შედეგზე. დიდი იმედი მაქვს, რომ პლეი ოფის საგზურს მოვიპოვებთ.

შვედეთში მოთამაშე დათუკაშვილისა და „ისლანდიელ“ კალანდაძის ტრავმების ამბავი აღრევე იყო ცნობილი, ბოლო დღეებში კი ნაკრების მწვრთნელთა შტაბს (მერაბ მეტრეველი, ჯემალ ბარამიძე, ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე) თავსატეხი მოემატა გარი თურქიას პრობლემის გამო, რადგან სათუო გახდა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელის საბერძნეთიდან ჩამოსვლა. მიზეზი ისაა, რომ თურქია რამდენიმე წელია საბერძნეთში თამაშობს, ორმაგი მოქალაქეობა აქვს და იქაური ხელბურთის ფედერაცია საქართველოს ნაკრებში გამოსვლის ნებას არ აძლევს.

ბერძნებიც ევროშესარჩევი ციკლისთვის ემზადებიან და 34 წლის თურქია თავიანთი გუნდის შეკრებაზე გამოიძახეს. ამდენად, მისი დაბრუნების მცირე შანსიღა რჩება, თუ, ჩვენდა სასიხარულოდ, ბერძენთა ნაკრებში ვერ მოხვდება.

სხვა ექვსი ლეგიონერი თბილისშია და საევროპოდ ინტენსიურადაც ემზადებიან. მათგან ყველაზე ტიტულიან გუნდში თამაშობს 24 წლის ცაცია ფრთა რევაზ ჭანტურია — სკოპიეს „მეტალურგი“ მაკედონიის ჩემპიონი და თასის მფლობელია.

მეტალურგები თავიანთი ქვეყნის ათგუნდა ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ მეორე ადგილზე არიან, დასკვნით ტურში „ვარდართან“ დედაქალაქური დერბი სამი ბურთით წააგეს — 32:35 და მთავარ კონკურენტს სამი ქულით ჩამორჩებიან.

ჭანტურია წინა მატჩებში თითქმის თავიდან ბოლომდე იყო მოედანზე და „ვარდარამდე“ სამ მატჩში 23 გოლი გაიტანა. მაგრამ უმთავრეს შეხვედრაში სერბმა მწვრთნელმა სლავკო ნოვაკოვიჩმა 31 წლის მაკედონიელი ივან მარკოვსკი ამჯობინა ოდნავ მუხლმტკივან ქართველს. რეზომ მხოლოდ 15 წუთი ითამაშა და ორი გოლი გაიტანა.

ჭანტურიას „მეტალურგთან“ კონტრაქტი წელიწადნახევარში კი უმთავრდება, მაგრამ შესაძლოა, უკვე ამ სეზონის შემდეგ სხვა გუნდში გადავიდეს.

მაკედონიაშივე, ბოგდანცის „მლადოსტში“ თამაშობს 29 წლის ბელარუსი სერგეი კირილოვი და ორჯერ ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. 2006-07 წლების სეზონში „მლადოსტი“ მეოთხე ადგილზეა. თითქმის ორმეტრიანი „ხაზი“ მცველის ფუნქციასაც კარგად ასრულებს და ვფიქრობთ, ძალიან დაეხმარება საქართველოს ნაკრებს საპლეიოფო მიზნის მიღწევაში.

იმედია, კირილოვისთვის ქართული პასპორტის მიცემას არაფერი შეაფერხებს.

უკრაინის ჩემპიონატის მესამე პრიზიორ დონეცკის „შახტარ აკადემიაში“ გამოდიან 22 წლის ვლადიმერ რუსია და 24 წლის მამია კობახიძე. ორივენი ინსაიდები არიან, ყოველ მატჩში შეუცვლელად თამაშობენ და გოლებიც საკმაოდ გააქვთ. ერთი სიტყვით, აკადემიკოსთა ხელმძღვანელობა კმაყოფილია. „შახტარი“ მიმდინარე სეზონშიც მესამე ადგილზეა, ექვსი ქულით ჩამორჩება ლიდერ „პორტოვიკ იუჟნის“ და ორით „ზაპოროჟტრანსფორმატორს“.

ათგუნდა ჩემპიონატის საკმაოდ მაღალი დონის მიუხედავად, ვოვა და მამია გუნდის დატოვებას ფიქრობენ არცთუ კარგი ანაზღაურების გამო, მით უმეტეს, რომ უკეთესი ვარიანტი აქვთ.

24 წლის გიგანტი (200 სმ) მეკარე შოთა თევზაძე თურქეთში, ანკარის „პოლის აკადემიაში“ თამაშობს. ჩვენი მეზობლების უმაღლეს ლიგაში II გუნდია, ანკარელები შარშანდელივით მეხუთე პოზიციაზე არიან.

შოთა „აკადემიის“ ძირითადი გოლკიპერია, პრაქტიკულად ყოველ მატჩში თავიდან ბოლომდე „დგას“ და ერთხელ ტურის საუკეთესო მეკარედაც დაასახელეს.

ლეგიონერთაგან ყველაზე უმცროსია გიორგი კვერნაძე, რომელიც გუშინ ოცი წლის შესრულდა. იგი საბერძნეთის მეორე ლიგის „აკადემია პატრას“ წევრია, მარჯვენა ინსაიდის პოზიციაზე თამაშობს, პრაქტიკულად პირველიდან ბოლო წუთამდეა მოედანზე და სამუალოდ შვიდი გოლი გააქვს. უმაღლეს ლიგაში მხოლოდ პირველადგილოსანი გადადის, ცაცია ქართველის „პატრა“ ლიდერს სამი ქულით ჩამორჩება.

გია ახალაძე

შოთა ხაბარელი 50-ის მოყრილა

ბადრი ჯითლაძის ფოტო

დღეს კაცს, რომელმაც საქართველოს ბოლო, უმძიმეს წლებშიც კი არაერთი დიდი გამარჯვებით გაგვახარა, მათ შორის თავის აღსაზრდელთა ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედლების მოპოვებით, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ტრიუმფითა და სხვა მრავალი გამარჯვებით, 50 წელი შეუსრულდა.

ეს კაცი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თავადაც ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, ევროპის პირველობათა ცხრა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების რვა მედლის მფლობელი შოთა ხაბარელია.

ვულოცავთ შოთა ხაბარელს დღევანდელ საიუბილეო თარიღს და ქართველ გულშემატკივართა კიდევ მრავალჯერ გახარებას ვუსურვებთ.

ბიჭი ვიყო, წყალი მოგაწოდო

შარაპოვამ ჯეიმსს ტილომეტრები დაუთვალა

მარია შარაპოვამ თავისებურ დუელში გამოიწვია „კლივლენდ კავალიერზის“ ახალგაზრდა ლიდერი ლებრონ ჯეიმსი — რუსი პრიმა ნბა-ს ვარსკვლავს ენიძლავება, ვინ უფრო მეტ კილომეტრს გაირბენს. იანვრის განმავლობაში.

ნიძლავს თავისი პირობებიც უნდა ჰქონდეს და მაშამ ისინი თვითონვე წამოაყენა — წაგების შემთხვევაში რუსი თანხმაა, ერთი მატჩის განმავლობაში წყლის მიმწოდებელი ბიჭის (ამ შემთხვევაში გოგოს) როლი შეასრულოს და ლებრონს ტაიმაუტების დროს სასმელი მიაწოდოს ხოლმე. აი, თუ შარაპოვა უფრო მეტს ირბენს, მაშინ ჯეიმსს თითქმის ასეთივე სამუშაოს შესრულება მოუწევს — მაშას ერთ-ერთ შეხვედრაზე ბურთის მიმწოდებელ „ბიჭად“ იქნება.

მოგეხსენებათ, შარაპოვაცა და ჯეიმსიც ნაიკის სახეები არიან და რუსმაც ეს წინადადება ამ კომპანიის ერთ-ერთი ფიტნეს-პროგრამის პრეზენტაციაზე წამოაყენა.

ჯერჯერობით უცნობია, სპორტსმენების მიერ გარბენილ კილომეტრებს ვინ და როგორ დაითვლის, მაგრამ ამერიკაში შემდეგი რამ უკვე გამოთვალეს — ტრავმებმა თუ არ შეაწუხა, ლებრონს იანვარში 16 მატჩის ჩატარება მოუწევს, ხოლო შარაპოვას ყველა ტურნირის მოგების შემთხვევაშიც კი ყველაზე მეტი, მხოლოდ 13-ის.

გამოთვლილი ყოფილა, რომ კალათბურთელი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 4 კილომეტრს დარბის, ხოლო ჩოგბურთელი — 7-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ შარაპოვასა და ჯეიმსის შანსები თანაბარი უნდა იყოს.

კახა ლომაშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონჩანმა სოჭს ჯოკერი ამოუღო

სამხრეთელს ჩრდილოელისკენ გაწვდილი ხელი ჰაერში არ დარჩენია

ის, რაც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უკავშირდება, ჩვენთვის ერთიორად საინტერესოა, რადგან ბორჯომი მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უდიდესი და უპოპულარესი შეჯიბრების მასპინძლობის მოსურნე იყო. და რაკი ამ საქმეში ბრძოლას გამოთიშული ბორჯომი კვლავაც მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს, ოღონდ უკვე სამომავლოდ, მის ყოფილ და სავარაუდოდ სამომავლო მეტოქეებზე ამბების გაგება უინტერესო არ უნდა იყოს. ერთ-ერთი ასეთი მეტოქე სოჭი გახლავთ, რომელსაც თეთრი ოლიმპიადის სამასპინძლო ბრძოლაში ორჯერ უკვე მოეცარა ხელი. წარმატების მისაღწევად ახლა იქაურ მილიციონერებს ინგლისურის შესწავლასაც სთხოვენ. მილიციონერთა პირადი შემადგენლობის შერჩევისას ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი სულ ცოტა, საყველპურო ინგლისურის ცოდნა იქნება.

„მილიციონერთა შერჩევისას ამოსავალი წერტილი მათ ყოველდღიურ საქმიანობაში წესრიგის დამცველთა პროფესიული თავაზიანობა და ინგლისურის ცოდნა იქნება საჭირო“ — ამბობს ყუბანის გუბერნატორი ალექსანდრ ტკაჩუკი, თითქოს მილიციონერებს სხვა შემთხვევაში ზრდილობა და თავაზიანობა არ მოეთხოვებოდეთ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისია კი, რომელიც ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებთან გაისად თებერვალში ჩავა და იქაურ დემოკრატიასთან და სხვა ყველაფერთან ერთად ალბათ რუსეთის წესრიგის დამცველთა ამგვარ ცოდვებსაც გაითვალისწინებს.

მანამდე რუსეთის საგანაცხადო წიგნი „სოჭი-2014“ ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინისკენ „სამოგზაუროდ“ წავიდა.

„ამ წიგნით შეგვიძლია ვიამაყოთ. ეს მთელი ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში „თეთრი ოლიმპიადების“ ყველაზე კომპაქტური და ეფექტური გეგმაა“ — ამბობს საგანაცხადო კომიტეტის გენერალური დირექტორი დმიტრი ჩერნიშენკო.

ასეა თუ ისე, როგორც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ამასწინანდელ ინტერვიუში გვითხრა, რუსეთი ძალიან სერიოზულად იბრძვის 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის ხელში ჩასაგდებად. მაშინ ისიც დაამატა, რომ როცა ბრიუსელში გამართულ ევროპის ოლიმიური კომიტეტების ასოციაციის ყოველწლიურ ასამბლეაზე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამივე მოცილე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ვიზუალური მასალა ვიხილეთ, ვფიქრობ, უპირატესობა კორეული პიონჩანისკენ იყოო.

პიონჩანისთვის, რომელსაც 2014 წლის თეთრი თამაშებისთვის სამასპინძლოდ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ, ამ უპირატესობის რეალიზების გზაზე აქამდე ჩრდილოეთ კორეა იყო. და აი, მოვიდა ცნობა, რომ ჩრდილოეთ კორეის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოფიციალურად მხარს უჭერს სამხრეთული პიონჩანის კანდიდატურას 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის სამასპინძლოდ..

ასე რომ, სამხრეთკორელებს ჩრდილოელი ძმებისკენ გაწვდილი ხელი ჰაერში არ დარჩენიათ.

ამგვარად, სოჭის ერთ-ერომა მეტოქემ ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბრძოლაში ძალზე ღიდი კოზირი მიიღო იმდენად, რამდენადაც პიონჩანის წინასაარჩევნო კამპანიაში მისი ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის მეგობრული კავშირების განმტკიცება არის.

ავთანდილ ჭყვიშელი

ჟაკ როგი ათლეტთა დნმ-ის ბანკის შექმნას იწონებს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ბელგიელი დოქტორი ჟაკ როგი მხარს უჭერს მსოფლიოს ყველა წამყვანი ათლეტის დნმ-ის (დეზოქსირრიბონუკლეინის მჟავა) მონაცემთა ბანკის შექმნას. იმავდროულად როგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი უდანაშაულობის პრეზუმფციის მომხრეა. ამიტომაც სოკ-ის მეთაური დაუშვებლად მიიჩნევს ველომრბოლ იან ულრიხისა და ივან ბასოს წინააღმდეგ დევნასა და მათი სპორტული უფლებების ნებისმიერი ხელყოფის ფაქტს იმ დრომდე, ვიდრე ექიმ ფუენტესის ირგვლივ ატეხილ სადოპინგო სკანდალთან ორივეს მონაწილეობა სასამართლოში არ დამტკიცდება. ამასთან დაკავშირებით ჟაკ როგმა დაგმო „პროტურის“ გუნდის „ეთიკური კოდექსი“, რომელიც მას სადოპინგო სკანდალთან ასე თუ ისე საეჭვოდ დაკავშირებულ ნებისმიერ ველომრბოლთან კონტრაქტზე ხელის მოწერას უკრძალავს.

ავთანდილ ჭყვიშელი



AFP

AFP

ისევ სანია, ისევ ასაფა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) გამოაქვეყნა 2006 წლის საბოლოო რეიტინგები და, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო, ყველა სახეობისთვის ერთიან კლასიფიკაციებს ქალთა შორის ამერიკელი სანია რიჩარდსი, ხოლო კაცებში იამაიკელი ასაფა პაუელი უდგანან სათავეში.

ყველაზე პრესტიჟული სამძლეოსნო სახეობის — 100 მეტრზე სირბილის მეფემ, ასაფა პაუელმა წელს სადაც ირბინა, ყველგან მოიგო, ორჯერ გაიმეორა შარშან დამყარებული თავისივე მსოფლიოს რეკორდი (9,77 წამი) და სარეკორდოდ ბევრჯერ დაძლია 10-წამიანი ზღუდე.

დაუმარცხებელი იყო რიჩარდსიც, ვისაც ბადალი არ ჰყავდა ერთბაშად ორ დისტანციაზე — 200 და 400 მეტრებზე სირბილში, თუმცაღა საბოლოო რეიტინგში სანიამ სულ მცირედით აჯობა ეთიოპიელ სტაიერებს მესერეტ დეფარსა და ტირუნეშ დიბაბას. აი, პაუელმა კი დიდი უპირატესობით, მთელი 22 სარეიტინგო ქულით გაასწრო ორივე სპრინტერულ დისტანციაზე (100 და 200 მეტრები) რბენის ამერიკელ სპეციალისტს, წელს ამობრწყინებულ ტაისონ გეის, რომელმაც, თავის მხრივ, 7 ქულით ჩამოიტოვა უკან თავისი თანამემამულე, 400 მეტრზე სირბილში დაუმარცხებელი ჯერემი უორინერი.

კაცები

1. ასაფა პაუელი (იამაიკა)	100მ.	1452
2. ტაისონ გეი (აშშ)	100მ, 200მ.	1430
3. ჯერემი უორინერი (აშშ)	400მ.	1423
4. კენენისა ბეკელე (ეთიოპია)	5000მ.	1419
5. საიფ საედ შახინი (ყატარი)	3000მ. წინაღ.	1401
6. ლიუ სიანი (ჩინეთი)	110მ. თარჯრ.	1400
7. ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია)	შუბი	1397
8. ირვინგ სალადინო (პანამა)	სიგრძე	1393
9-10. ისააკ კიპრონო სონგოკი (კენია)	5000მ.	1392
9-10. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა)	ბადრო	1392
11. დაირონ რობლესი (კუბა)	110მ. თარჯრ.	1387
12-13. ტერენს ტრამელი (აშშ)	110მ. თარჯრ.	1383
12-13. პოლ კიპსიელე კოეჩი (კენია)	3000მ. წინაღ.	1383
14. ბერსონ ჯეკსონი (აშშ)	400მ. თარჯრ.	1380
15-16. უოლეს სპირმონი (აშშ)	200მ.	1380
15-16. პერიკლის იაკოვაკისი (საბერძნეთი)	400მ. თარჯრ.	1380
17. ალექს კიპჩირჩირი (კენია)	1500მ.	1373
18. ლეონარდ სკოტი (აშშ)	100მ.	1370
19-20. რის ჰოფა (აშშ)	ბირთვი	1369
19-20. ალენ ჯონსონი (აშშ)	110მ. თარჯრ.	1369

ქალები

1. სანია რიჩარდსი (აშშ)	200მ, 400მ.	1401
2. მესერეტ დეფარი (ეთიოპია)	5000მ.	1400
3. ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია)	5000მ.	1394
4. შერონ სიმპსონი (იამაიკა)	100მ, 200მ.	1389
5. ტატიანა ლებედევა (რუსეთი)	სამხტომი	1386
6. მიშელ პერი (აშშ)	100მ. თარჯრ.	1385
7. ლისინდა დიმასი (აშშ)	400მ. თარჯრ.	1383
8. იულია ჩიჟენკო (რუსეთი)	1500მ.	1382
9. ელენა ისინბაევა (რუსეთი)	ჭოკი	1379
10. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი)	სიმაღლე	1373
11. მირიამ იუსუფ ჯამალი (ბაჰრეინი)	1500მ.	1371
12. ელენა სობოლევა (რუსეთი)	1500მ.	1370
13. ვანია სტამბოლოვა (ბულგარეთი)	400მ.	1363
14. სუსანა კალური (შვედეთი)	100მ. თარჯრ.	1361
15. ტია ელებო (ბელგია)	სიმაღლე	1351
16-17. ჯენეტ ჯეპკოსგეი (კენია)	800მ.	1348
16-17. ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი)	1500 მ.	1348
18-19. ბრიგიტ ენ ფოსტერ-ჰილტონი (იამაიკა)	100მ. თარჯრ.	1345
18-19. ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია)	სიმაღლე	1345
20. ტიფანი როს-უილიამსი (აშშ)	400მ. თარჯრ.	1344

რეგულარული ჩემპიონატი

ბეტმენის არეული გეგმები

ლოკაუტის შემდეგ ნჰლ-ის მესვეურები კომისიონერ გერი ბეტმენის თაოსნობით ცდილობენ, ყველაფერში ეკონომია გააკეთონ და საამისოდ ახალ-ახალი იდეები არ ელევათ. მაგალითად, სწორედ ფულის დაზოგვის მიზნით შეიქმნა დღესდღეობით არსებული კალენდარი, რომლის მიხედვითაც გუნდები მაქსიმალურად ცოტას, სეზონში მხოლოდ 10 თამაშს ატარებენ სხვა კონფერენციის გუნდებთან. სამაგიეროდ, საკუთარი დივიზიონის წარმომადგენელებთან რვაჯერ უწევთ დაპირისპირება. ეს ყველაფერი თურმე იმ მიზნით კეთდება, რომ გუნდებს მგზავრობაზე ნაკლები ეხარჯებათ, რაც მთლიანად ლიგასაც ასარგებლებს.

მაგრამ ისე კი გამოვიდა, რომ ამით ყველაზე მეტად მაყურებელი დაზარალდა. რატომ? იმიტომ რომ აღნიშნული კალენდრის "დამსახურებით" გულშემატკივრებს მოაკლდათ დეტროიტ-ტორონტოს, ედმონტონ-ფილადელფიას, ჩიკაგო-ბოსტონის და ამდაგვარი ლეგენდებად ქცეული ჯახების ყურების სიამოვნება — ასეთი თამაშები აღნიშნულ ქალაქებში ლამის სახალხო ზეიმებად ცხადდებოდა. ახლა კი, მაგალითად, ფილადელფიელ გულშემატკივარს ედმონტონის საკუთარი თვალით ხილვის შესაძლებლობა მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ ეძლევა.

ეს ყველაფერი უდავოდ დიდ უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ ბეტმენი და მისი გარემოცვა კიდევ ერთი ახალი ინიციატივით გამოვიდა, რომელიც მთლიანად ლიგის რეორგანიზაციას გულისხმობს.

ამ ინიციატივის თანახმად არსებული ექვსი დივიზიონი ოთხამდე უნდა შემცირდეს, ანუ ყოველ კონფერენციაში თითო-თითო შვიდ და რვა გუნდიანი დივიზიონები შეიქმნება. ამასთანავე „კოლუმბუსი" და „ატლანტა" სულაც კონფერენციებით შეენაცვლებიან ერთმანეთს.

მოკლედ, ეს დივიზიონები შემდეგნაირად დაკომპლექტდება:

აღმოსავლეთის 7-გუნდიანი დივიზიონი: „მონრეალი", „ტორონტო", „ოტავა", „ბუფალო", „ბოსტონი", „პიტსბურგი" და აღმოსავლეთში გადმობარგებული „კოლუმბუსი";

აღმოსავლეთის 8-გუნდიანი დივიზიონი: „რეინჯერსი", „აილენდერსი", „ნიუ ჯერსი", „ფილადელფია", „ვაშინგტონი", „ტამპა", „ფლორიდა" და „კაროლინა".

დასავლეთის 7-გუნდიანი დივიზიონი: „დეტროიტი", „სენტ ლუისი", „ჩიკაგო", „ნეშვილი", „დალასი", „მინესოტა" და აქეთ გადმოსული „ატლანტა";

დასავლეთის 8-გუნდიანი დივიზიონი: „ედმონტონი", „კალგარი", „ვანკუვერი", „კოლორადო", „ანაჰაიმი", „სან ხოსე", „ლოს ანჯელესი" და „ფინიქსი".

აქედან რა გამოვა, არავინ იცის. რამდენად აძლევს ხელს იმავე „კოლუმბუსსა" და „ატლანტას" კონფერენციების შეცვლა, ძნელი სათქმელია, გულშემატკივრების საკითხი კიდევ ცალკე თემაა — საეჭვოა, ამ გეგმამ ჰოკეის მოყვარულები აღაფრთოვანოს.

კახა ლომაშვილი

ლიგის ლიდერები



სიდნი კროსბი

გომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 55 (17+38), იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 51 (16+35), მარიან ჰოსა (ატლანტა) 48 (24+24), ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 47 (24+23), ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 47 (21+26), მარტინ სენ ლუი (ტამპა) 46 (23+23), ტეემუ სელიანი (ანაჰაიმი) 45 (19+26), მარკ სავარი (ბოსტონი) 45 (11+34), ჯერომ იგინლა (კალგარი) 44 (20+24), ჯეისონ სპეცა (ოტავა) 44 (19+25), დენი ჰითლი (ოტავა) 43 (20+23), მარტინ სტრაკა (რეინჯერსი) 43 (18+25), ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 42 (20+22), დანიელ ბრიერი (ბუფალო) 42 (14+28), ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 42 (23+19), მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 41 (12+29), ვიაჩესლავ კოზლოვი (ატლანტა) 40 (13+27), ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 40 (9+31), როდ ბრინდამორი (კაროლინა) 40 (11+29).

გოლიადორები: ჰოსა, ოვეჩკინი 24-24; შენაჰენი, სენ ლუი 23-23; ლეკავალიე 21; კოვალჩუკი, ჰითლი, ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი), იგინლა 20-20; სელიანე, დერსი ტაკერი (ტორონტო), სპეცა 19-19; ტომაშ ვანეკი (ბუფალო), გლენ მიურეი (ბოსტონი), სტრაკა 18-18.

ასისტენტები: კროსბი 38; იაგრი 35; სავარი 34; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ტორნტონი, კრის პრომგერი (ანაჰაიმი) 31-31; ბრინდამორი, ნიულანდერი 29-29; ბრიერი, პატრიკ ბერუერონი (ბოსტონი) 28-28; კოზლოვი 27; სელიანე, პოლ კარია (ნეშვილი), ლეკავალიე 26-26.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ტომ პრეისინგი (ოტავა) 23; ლიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 22; პრომგერი 20; ვანეკი, კროსბი 18-18; კრის კუნიცი (ანაჰაიმი), სელიანე 17-17; ალექსეი იაშინი (აილენდერსი), რობერ ლანგი (დეტროიტი), იაგრი, მეტიუ ლომბარდი (კალგარი) 16-16.

კარში დარტყმები: ოვეჩკინი 187, ოლი იოკინენი (ფლორიდა) 179, შენაჰენი 176, ჰოსა 169, კოვალჩუკი 168, ბრაიან როლსტონი (მინესოტა) 158, იაგრი 154, ერიკ სტაალი (კაროლინა) 142, მაც სუნდინი (ტორონტო) 140, ლეკავალიე 133.

გოლები უმრავლესობაში: ტაკერი, ჰოსა 13-13; სელიანე, შენაჰენი, ბლეიკი 11-11; ოვეჩკინი, შელდონ სურეი (მონრეალი) 10-10, სპეცა, კოვალჩუკი 9-9.

გოლები უმცირესობაში: ჯორდან სტაალი (პიტსბურგი) 5; კრის დრეიპერი (დეტროიტი), ტოდ მარჩანტი (ანაჰაიმი), ლომბარდი, ბრაინ სმოლინსკი (ჩიკაგო), კრისტოფერ ჰიგინსი (მონრეალი), მაქსიმ ტალბოტი (პიტსბურგი), ოუენ ნოლანი (ფინიქსი) 3-3.

გამარჯვების გოლები: სელიანე 6; ოვეჩკინი, პეტრ სიკორა (ედმონტონი), ჯასტინ უილიამსი (კაროლინა) 5-5.

გომბარდირი მცველები: პრონგერი 38 (7+31), ტომაშ კაბერლე (ტორონტო) 32 (8+24), სურეი 31 (12+19), ლიდსტრომი 31 (9+22), სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი) 30 (6+24).

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 1,85; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 1,98; მარტი ტურკო (დალასი) 2,12; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,12; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 2,17; ვესა ტოსკალა (სან ხოსე) 2,20; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,21; კრისტობალ იუე (მონრეალი) 2,36.



ჟან-სებასტიან ჟიგერი

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: იუე 93,1; ნაბოკოვი 92,9; კრის მეისონი (ნეშვილი) 92,6; ჟიგერი 92,6; კიპრუსოფი 92,6; ტოსკალა 92,0; ბროდო 92,0; ტომაშ ვოკუნი (ნეშვილი) 92,0.

მოგებული მატჩები: ჟიგერი 23; ბროდო 19; ჰაშეკი, ტურკო 18-18; რობერტო ლუნგო (ვანკუვერი), რაიან მილერი (ბუფალო) 17-17; ტიმ ტომასი (ბოსტონი), კიპრუსოფი, კარი ლეჰტონენი (ატლანტა), კიმ უარდი (კაროლინა) 16-16.

შათაუტები: ჰაშეკი 5; ჟიგერი, კიპრუსოფი, ლეჰტონენი, ბროდო, ტურკო 4-4; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი), დუეინ როლოსონი (ედმონტონი), ტოსკალა, მეისონი, ნაბოკოვი 3-3.

აღმოსავლეთ კონფერენცია

ატლანტიკი

	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ნიუ ჯერსი	35	19	13	3	92:89	41
რეინჯერსი	37	18	15	4	115:120	40
აილენდერსი	34	18	13	3	107:98	39
პიტსბურგი	34	15	13	6	110:115	36
ფილადელფია	35	8	23	4	83:136	20

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ბუფალო	35	25	7	3	138:103	53
მონრეალი	35	21	9	5	112:97	47
ბოსტონი	33	18	13	2	102:111	38
ტორონტო	37	16	16	5	118:127	37
ოტავა	37	18	18	1	121:113	37

სამხრეთ-აღმოსავლეთი

ატლანტა	37	21	10	6	120:112	48
კაროლინა	37	19	14	4	115:113	42
ვაშინგტონი	35	16	12	7	110:119	39
ტამპა	36	17	17	2	118:116	36
ფლორიდა	38	13	18	7	103:124	33

დასავლეთ კონფერენცია

ცენტრალური

	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ნეშვილი	36	24	9	3	121:93	51
დეტროიტი	35	21	9	5	99:77	47
ჩიკაგო	35	15	15	5	90:100	35
კოლუმბუსი	35	13	19	3	87:103	29
სენტ ლუისი	35	10	19	6	83:117	26

ჩრდილო-დასავლეთი

კოლორადო	35	18	15	2	114:99	38
ედმონტონი	35	18	15	2	98:95	38
მინესოტა	35	18	15	2	98:95	38
კალგარი	33	17	13	3	95:82	37
ვანკუვერი	36	17	18	1	80:95	35

წყნარი ოკეანე

ანაჰაიმი	38	27	5	6	134:89	60
სან ხოსე	36	25	11	0	107:77	50
დალასი	36	23	13	0	96:80	46
ლოს ანჯელესი	37	12	20	5	100:133	29
ფინიქსი	34	13	20	1	85:124	27

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები

AFP ბრისბენიდან

ბარმის ლაშქარი

„ბარმის ლაშქრად“ წოდებული კრიკეტის ინგლისელ ფანთა გუნდი ტრადიციულად კარგ ხასიათზეა. ინგლისი აგებს, თუ იგებს, ეს ლაშქარი მაინც ხალისობს: მოახლოებულ შობას დიდი მწვადის შეწვაც დაუგეგმავს, რომელსაც ათასობით ფანი შეუერთდება.

წაწოლა

იფ, რა წაწოლაა... მოწაფურ-სტუდენტური ოლ სტარი გახურებულა ჯეკსონში და ჟინი პირდაპირ აუწერელია

კამაზი დაიძრა

AFP მოსკოვიდან

წითელი მოედნიდან გადის „კამაზის“ მრბოლელთა გუნდი. სულ მალე ლისაბონი-დაკარი დაიწყება და „კამაზები“, რა თქმა უნდა, მოწინავენი და გამარჯვების მსურველნი არიან.

მეათასე

ეროვნული ჰოკეის ლიგის განთქმული მსაჯი პოლ ლაევორსკი თავის ვაჟს ლუკს იახლებს ყინულზე. მხოლოდ ცოტა ხნით, საზეიმოდ. „ტორონტო“ — „ვაშინგტონის“ მატჩი პოლისთვის საიუბილეო, მეათასეა.

შესვენების გოგო

AFP პორტლენდიდან

დიდი კალათბურთის შესვენებაზე მოედანზე ისეთი საშობაო გოგოები წაიცეკვებენ ხოლმე, რომ კაცს, ზოგჯერ მაინც, კალათბურთი დაავიწყდება. ეს გოგო პორტლენდელია, იქაური „ბლეიზერზისა“ და ტორონტოელების მატჩის შესვენებისას კოხტაობს სხვებთან ერთად.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი. კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge